

კარი ერთოსელი

კოლეგი  
ფსალმუნი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუნძული ქართველი



## კოლეგი ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ტობად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 72

2020



მთ. რედაქტორი

**რუსულან ბარიძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს მწერალთა,  
მეცნიერთა და საზოგადო  
მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა-  
საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცხალში“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-879-3 (72 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის ამონდობა – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მოწოდებით – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ტომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჭავაცხალასა და გალაკტიოზ ტაბიდის არემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მარის ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზის საერთაშორისო კაპადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-  
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-  
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-  
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი  
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის  
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,  
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი  
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი  
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-  
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი  
(შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ძვევნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ მიღროინდებლი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვევნის, არც ერთი კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ძვევნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

### წინასიტყვაობის მაბიერ

**სამხა მნიშვნელოვანმა მოვლენამ მიკარნახა და-  
მეწერა ეს გამოკვლევა:** 1. ვაჟა ეგრისელის ერ-  
თტომეულის – „იქმენ ნათელის“ გამოსვლამ,  
რაც უთუოდ დირსახსოვარი მოვლენაა. 2. პოეტის,  
პროზაიკოსის და მეცნიერის კოტე მელაშვი-  
ლის ერთ დიდ წიგნად („ვაჟა ეგრისელი“) შეკ-  
რული ვრცელი გამოკვლევების გამოჩენამ წიგნის  
ბაზარზე. 3. გაზეთ „ლიტერატურული საქარ-  
თველოში“ გამოქვეყნებულმა ვრცელმა წერილმა  
„გინდა დაიჯერეთ, გინდ არა,“ რომელიც ამ წიგნებს  
ეძღვნება.

ვაჟა ეგრისელის ლექსების ათასგვერდიანი კრე-  
ბული „იქმენ ნათელი“, მე ვიტყოდი, მზესავით  
ამობრწყინდა ქართული პოეზიის ცაზე. მან ბევრი  
რამ ახალი თქვა, უპირველეს ყოვლისა კი წარმოაჩი-  
ნა, რომ რუსთაველი ქვეყანაში, მიუხედავად მის  
გზაზე სელოგნურად შექმნილი დაბრკოლებებისა,



პოეზია მუდმივ წინსვლას განიცდის, სულს ახლებუ-  
რად ითქვამს, ახალ სისხლსა და ხორცს იძენს.

როგორც მლოცველი სახოებით შეაღებს ხოლ-  
მე ქრისტეს ტაძრის კარს, მკითხველიც ასევე მოკ-  
რალებით გადაშლის ამ წიგნს და ისე შევა პოეტის  
წმიდათაწმინდა სამყაროში. მგოსნის სიტყვებით რომ  
ვთქვათ, „მის კარ-მიდამოში“. კითხულობ ამ წიგნს  
და გრძნობ, თითქოს ალექსანდრე აბაშელ ს  
ვაჟა ეგრისელზე ეთქვას:

„საქართველოში შენი ლექსები  
მშიერ მგლებივით დათარეშობენ,  
ქვესკელს დასთხრიდნენ შენი ფესვები,  
მიწას პოეტად რომ არ ეშობე“.

მართლაცდა ვაჟა ეგრისელის ლექსები  
მშიერ მგლებივით დათარეშობენ ენის თვალსაწიერ-  
ზე, პგლეჯენ და არარაობად აქცევენ პოეზიის ნიღ-  
ბით მოარულ „წარჩინებულ“ პოეტთა ნაცოდვილარს,  
გზას უკაფავენ ნამდვილ ხელოვნებას.

ერთ მთლიანობაში ეს დიდი წიგნი, ვაჟა ეგრი-  
სელის ერთტომეული, მე მაგონებს განთიადის შუ-  
ქით გაცისკროვნებულ ზღვას, სავსეს უამრავი  
თვალ-მარგალიტით, ხოლო მისი ავტორი თავად  
„შორეული ლეგენდებიდან მოსულ კოლხად“ წარმო-



მიდგება. კითხულობ ამ წიგნს და ხან მოლივლივე ტალღების იდუმალი ჩურჩული გესმის, ხანაც ზღვის ქუხილი და ქარიშხალთა ქვითინი. სიზმარებულად წამოიმართებიან ხოლმე მამაცი კოლხი ზღვაოსნები, გემბანზე არწივისა თუ თევზის თვალი აქვთ ამოტვიფრული, ისმის კოლხური ომახიანი სიმდერები, თვალწინ გაიელვებს მშვენიერი დედოფლის პეკატეს თვალცრემლიანი სახე და რწმუნდები მისი გოდების სიწრფელეში, რაც ქალიშვილის მიერ დატოვებული განუქარვებელი სევდითაა გამოწვეული.

ოქროს საწმისის ელგაბა ჩაქსოვილი ამ წიგნში, მედეას ტრაგიკული ბედია ჩანივთებული შიგ და „ღვთიური სიშმაგით“ – პოეზიის ამოხეთქილი დიდი სიხარულია დატრიალებული.

შემთხვევითი არ არის, რომ ვაჟა ეგრისელი სამყაროს პოეტად მოევლინა, – ეს მისი ბედისწერაა. იგი პოეტადაა დაბადებული. ეს გენეტიკურად იყო განპირობებული: სახელოვანი პეოტი ალიო მირცხულავა (მაშაშვილი) მისი დედის ძმა იყო, დედა ვაჟა ეგრისელისა პოეტი ქალი იყო, მამაც – პოეტური სულის კოლხი.

წიგნს „იქმენ ნათელი“ მე განვიხილავ, როგორც მისი მკიოხველი და ვაჟა ეგრისელის პოეზიის თაყვანისმცემელი. რა თქმა უნდა, შორსა ვარ ავტორიტეტული აზრის გამოთქმის პრეტენზიისაგან. ვაჟა



ეგრისელის პოეზიაზე მრავალი წერილი და რეცენზია დაწერილა, როგორც ცნობილი ლიტერატურული მეტრების, სახელოვანი მეცნიერების, ასევე მისი კოლეგების – მწერლების მიერ.

ვაჟა ეგრისელის პოეზიას მიუძღვნეს წერილები: აკადემიკოსმა გრიგოლ აბაშიძემ, მწერალ-მეცნიერებმა, პროფესორებმა: აკაკი გაწერელიამ, რევაზ მიშველაძემ, ლევან სანიკიძემ, შოთა ლომსაძემ, საქართველოს სახალხო მხატვარმა პროფესორმა თენგიზ სამსონაძემ, პროფესორმა ნაპოლეონ ლემონჯავამ, პროფესორმა აპოლონ ცანავამ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა რევაზ ჩხარტიშვილმა, ისტორიკოსმა, პროფესორმა შალვა გულორდავამ, დოცენტებმა: კოტე მელაშვილმა, ავთანდილ გავაშელიშვილმა, ბორის მირცხულავამ. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კნდიდატებმა: მერი ბადრიაშვილმა, გივი ცქიტიშვილმა, ასპირანტმა სოსო ქუთათელაძემ და სხვ. მწერლებმა: ალიო მაშაშვილმა, რევაზ ჯაფარიძემ, შოთა ნიშნიანიძემ, მორის ფოცხიშვილმა, სილოვან ნარიმანიძემ, ზაურ ბოლქვაძემ, ოთარ შალამბერიძემ, აკაკი გელოვანმა, ილია რურუამ, ილია



კავკაზაგმა, გიორგი წერეთელმა, დავით ნოზაძემ, უშანგ ბედიამ, ჯემსი კეპულაძემ, ალექსანდრე სიგუამ, თენგიზ გოგოლაძემ, გივი ნიჟარაძემ, ავთანდილ მეგრელი შვილმა, მიხეილ ჩაჩუამ, ელგუჯა მერაბი შვილი და სხვ.

ვაჟა ეგრისელზე შესანიშნავი მონოგრაფია ცალკე წიგნად გამოაქვეყნა ბატონმა კოტე მელაშვილმა – ცნობილმა პოეტმა, პროზაიკოსმა და გამოჩენილმა მეცნიერმა. იგი დიდი ინტერესით იკითხება და სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.

ისინი, რომლებიც ვაჟა ეგრისელი პოეზიას თბილი სიტყვებით ეხმაურებიან, როგროც ვხედავთ, უაღრესად ლირსეული პიროვნებებია. მართლაცდა კარგად უთქვამს გოეთეს: „დიდი პიროვნება რომ სცნო, აღიარო და საკადრისი პატივი მიაგო, საამოსოდ თვითონ რაიმეს უნდა წარმოადგენდე.“

\* \* \*

მახსენდება ანტონ ფურცელაძის („მაცი ხვიტია“): ძველთაგან თავისი ტურფა ასულებით სახელგანთქმული სოფელიაო ხორგა.

აი, აქ, 1941 წლის 15 მაისს, ევგენი დოლბაიას და ფედო სია მირცხულაცა-დოლბაიას ოჯახში დაიბადა მეცხრე შვილი – ვაჟა



დოლბაია (ეგრისელი). თვითონ პოეტი მშვენივრად აგვიწერს იმ კარ-მიდამოს სადაც დაიბადა: „მშობლიური ხორგა... ტრიფოლიატით კოხტად შემოღობილი მწვანე ეზო. კონდარზე მტრედივით დამჯდარი კოლხური ოდა“...

ფერად სიხმრებში  
თბილად ჩაკრული –  
ჩემი ბაგშვობა  
წევს უზრუნველი.

პოეტის მამა – ევგენი დოლბაია მამაცი, გამრჯე და კეთილი ადამიანი, დიდ ტრადიციების მქონე ოჯახიდან იყო, სადაც თერთმედი და-მმა აღიზარდა. პოეტის დედა – ფედოსია ასევე დიდი ტრადიციების ოჯახში იყო დაბადებული და გაზრდილი. ამ ოჯახში ცამეტი და-მმა დაფრთიანდა. ქალბატონმა ფედოსიამ „გეფხისტუათსანი“ ზეპირად იცოდა და თავად ნიჭიერი პოეტი იყო. მისი ლექსები ვაჟა ეგრისელს ძვირფას რელიექტებად აქვს შენახული. ერთ-ერთ თავის ლექსში ქალბატონი ფედოსია თავის პაპას ვარსკვლავთმრიცხველს უწოდებს. როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს აზრი, რომ მირცხულა-



ვათა გვარი ვარსკვლავომრიცხველისაგან წარმოდგებაო.

პოეტი ვაჟა ეგრისელი კი თავის წინაპრებს ზღვის მკვიდრებად თვლის:

...მათი აჩრდილი აფენია ტალღებს –  
ქარგებად...

ზღვას დადუპულთა სულების თრთლოვა –  
დასალიერთად უერთდება...  
და იკარგება...

...მგოსნის შემოქმედებაში ვეძებთ რა ნოვატორულ მიგნებებს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ოვალი გადავავლოთ პოეტურ ტრადიციებს, რომლებსაც იგი ეფუძნება. ერთ-ერთი სიახლე, რაც ვაჟა ეგრისელის პოეზიას გამოარჩევს, ეს სახით მეტყველებადა. ეს სამართლიანად შენიშნა ბატონმა კოტე მელაშვილ მა თავის მონოგრაფიაში და სათანადოდ დაასაბუთა.

მე ვფიქრობ, ვაჟა ეგრისელი სახით მეტყველებაში ყველაზე მეტად ენათესავება მეტაფორების გვირგვინსან მეფეს – ვაჟა ფშაველას, ბრწყინვალე პოეტებს: გრიგოლ ორბელიანს, გიორგი ლეონიძეს და რუს პოეტს სერგეი ესენის.



გავიხენოთ გიორგი ლეონიძის სტრიქონები:

1. „დვინიან ჯამში ნარგიზივით  
მთვარე ჩავარდა.“
2. „დაჭრილ ხევსურის თავივით –  
მთვარე მთებს გადმოყვინთა.“

ძნელი დასანახავი როდია, რომ ვაჟა ეგრისე-ლის მეტაფორებით, ეპითეტებით, შედარებებით გა-ჯერებული მეტყველება ტრადიციული ფესვებით იპ-ვებება:

ლურჯი ტალღები ულაყებივით  
გრიგალებს უნდათ დაიურვონ  
და გაიხედნონ.

არა ჩანს ნავი,  
ნაპირთან რომ ძაღლივით ება.  
ხმელეთს იქით რომ გადაიხედოს,  
ფეხის წვერებზე ზღვა ისევ დგება.

ახლა წავიკითხოთ გრიგოლ თრბელიანის ლექ-სები:

1. “ზე ჩაესვენა, მის შუქი  
გამოსალმის ჟამს კავებსას,



თავსა ევლება ალერსით,  
ვით ქალი მამას მოხუცსა...“

2. „წყალნი მთით დაქანებულნი  
ალმასებრ უფსკრულს ცვიგიან.  
თერგი რბის, თერგი ღრიალებს,  
კლდები ბანს ეუბნებიან.“

ამ ტრადიციებისაგან იღებს სათავეს ვაჟა ეგრო-  
სელის ლექსები:

წარსულში უცებ წინაპარმა ხმალი  
იშიშვლა,

ასე მგონია, როცა იელვებს.

ზღვაში თვალს ახელს სასწაული  
და ფანტაზია.

ქუხილი არა,

აიეტი და ფარტაზია –

ისევ ებრძვიან პონტოს პირას ბიზანტიუ-  
ლებს.

წავიკითხოთ ვაჟა-ფშაველას სტრიქონები:

1. „გაღმა სჩანს ქისტის სოფლი,  
არწივის ბუდესავითა, -  
საამო არის საცქერლად,



დიაცის უბესავითა.“

2. „დღემ დაიხურა პირბადე,  
მოგბმა დახუჭეს თვალები.“

ახლა მოვისმინოთ ვაჟა ეგრისელის ლექსები,  
რომლებშიც ნათლად ჩანს ქართულს პოეზიაში კლა-  
სიკოსების მიერ დამკვიდრებულ ტრადიციათა შუქი:

კელაპტარივით ჩამქრალ დღეებს  
ისევ ანათებენ  
ლაქებარდოვანი სვეტ – თაღები  
და გუმბათები.  
კოლხური დამე –  
გრძნეული და სიზმარეული –  
თუთარჩელათი ისევ შეუვლის  
არყოფნის  
მაღალ აივანზე  
დამსხდარ აჩრდილებს.

ისევ ვაჟა ეგრისელის სხვა ლექსები გავიხსე-  
ნოთ:

1. „ცისკრის ვარსკვლავი,  
კარგო,  
ჩემი სიყვარულია,



ახლოს ვერ ბედავს და შორიდან  
გელაციცება.

2. ...და ახლა ციხის კედელზე რომ  
სურო მიცოცავს.  
სურო კი არა,  
სული არის მეციხოვნისა.

სერგეი ესენინი წერს:

„ვით დასისხლული გედი მიცურავს,  
ლურჯ გუბურაში ჟამი დაისის.“

ვაჟა ეგრისელი ასე მეტყველებს:

...სარზე ჩამოცმულ ბედაურის  
თავის ქალიდან  
ცივი ჭიხვინი ისმის არყოფნის.

ზემოთ დასახელებული ყველა პოეტი თავისი  
საკუთარი ხმისა და ხელწერის ოსტატია, ნოვატო-  
რია, ტრადიციებში კი ფესვები ღრმად აქვთ გადად-  
გმული.



\* \* \*

**გაუა ეგრისელი** სულიერად ენათესავება ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილს. მის ერთტომეულში უხვა-  
დაა წარმოდგენილი ფილოსოფიური ლირიკის ნიმუ-  
შები.

ფილოსოფია, როგორც ცნობილია, ჭეშმარიტე-  
ბის, სიბრძნის სიყვარულია. სადაც სიბრძნის სიყვა-  
რული იფეთქებს, ჭეშმარიტების ნათელი იქ უფრო  
დრმად აღწევს სულის იდუმალ კუნჭულამდე. ფილო-  
სოფია დიდი შემეცნებაა მსოფლიოს. ადამიანი, იმ-  
ყოფება რა სამყაროში, ოდითგანვე ცდილობს შეიც-  
ნოს თავისი თავი - Nosce te ipsum. ადამიანი ცდი-  
ლობს შეიცნოს, თუ საიდან და რისთვის მოვიდა წუ-  
თისოფელში. ფილოსოფია ეხება ყოფნა-არყოფნის,  
ბედისწერის, სიყვარულის, სიკეთისა და ბოროტების,  
გარდუვალობის, დროისა და სივრცის და სხვა უამ-  
რავ საკითხს. სოკრატე და პლატონი, როგორც ცნო-  
ბილია, ახალგაზრდობაში ლექსებს წერდნენ. მერე  
მათ პოეზია ფილოსოფიაზე გაცვალეს. ისინი  
თვლიდნენ, რომ უმაღლესი ფორმა კულტურისა  
არის არა ხელოვნება, არამედ – ფილოსოფია. მათი  
თვალსაზრისით, ფილოსოფია აცლის საგანს გარებ-  
ნულ ქერქს და ცდილობს გვიჩვენოს საგნის შინაარ-  
სი, ხელოვნება კი ეხება საგნის გარეგნულ ქერქს  
და ცდილობს გვიჩვენოს საგნის შინაარსი, ხელოვნე-



ბა კი ეხება საგნის გარეგნულ ქერქს და ცდილობს გადააკრას მას ფანტაზიის ახალი ქერქი. ფილოსოფიას გამოჰყავს კაცი თვლების მდგომარეობისაგან და აფხიზლებს მას, ხელოვნება კი მიაძინებს მას და მატყუარა სიზმრებში გახვევს ხოლმე.

მნელია ირწმუნო ამ თვალსაზრისის უბეჭარობა, რამეთუ მსოფლიოს სწავლულნი, როგორც ძველი, ისე ახალი დროისა, ყოველთვის თვლიდნენ, რომ ესთეტიკური ობიექტური სამყაროს შემადგენელი ნაწილია და მისი წვდომა მხოლოდ ხელოვნებას ძალუბს.

კამათი დღესაც გრძელდება. ამ კამათის მონაწილე იყო **ნიკოლოზ ბარათაშვილი**. ამ კამათშია ჩაბმული ვაჟა ეგრისელიც.

ერთი ბედნიერი შემთხვევის წყალობით ამ დღეებში გავეცანი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა ფილოსოფოსის ბადრი შარვაძის სადისერტაციო შრომის ანოტაციას. დისერტაცია ეძღვნება ყველა დორის უდიდესი ფილოსოფოსის, ამერიკელი ჯონ დიუს (1859-1952) მეტაფიზიკის კრიტიკულ ანალიზს. დისერტანტის აზრით, ანტიკურობაში ინდივიდუუმი არის დაქვემდებარებული, უინიციატივო, შემოქმედების უნარმოკლებული, გარე სამყაროსთან შეგუებული, ხოლო ახალ დროში იგი დაუმორჩილებელი, ინიციატივიანი შემოქმედია.



ვაჟა ეგრისელი ამას თავისი ლექსებით ცხად-  
ყოფს, როგორც პიროვნება და როგორც პოეტი. მის  
ლექსებში ფართოდაა გაშუქებული ბუნების, გონე-  
ბის, სიკვდილ-სიცოცხლის, სულის და სხეულის,  
დროისა და სივრცის პრობლემები. მისი ბევრი ლექ-  
სი ეხმიანება პამლეტის დიდებულ მონოლოგის სიტ-  
ყვებს: „To bi or not to bi – that is the question“ („ყოვნა-  
არყოფნა – საკითხავი აი ეს არის“). „სიკვდილი-საწ-  
ყისია სიცოცხლის“ „და რომ ცხოვრებამ არ შეგვა-  
შინოს, ჩვენ მუდამ გვერდით სიკვდილი გვიდგას“.

\* \* \*

ვაჟა ეგრისელის ენა ნარნარი და დახვე-  
წილია. სულმნათ აკაკის ერთმა ახალგაზრდა მწე-  
რალმა რომ პკითხა, რას მირჩევთ, რა ვიკითხო, რომ  
ენა უფრო დავხვეწოო, დიდმა მგოსანმა უყოფმანოდ  
უპასუხა: ბიბლია იკითხე, მხოლოდ ბიბლიაო“. ანტი-  
კური ხელოვნების საკმაოდ კარგად მცოდნე ვაშა  
ეგრისელს. გვჯერა, ბიბლიაც არაერთხელ აქვს წა-  
კითხული. ამას თუგინდ მისი წიგნების სახელწოდე-  
ბებიც მიგვანიშნებს: „სიცოცხლე“, „ამაღლე-  
ბა“, „ნათელ ხილვა“, „საგალობელი“, „იასამნების ლურჯი გალობა“, ათასგვერ-  
დიანი, ორ ათასამდე ლექსის დამტევი „იქმენ  
ნათელი“ და დასასტამბავად გამზადებული, ორი



ათასზე მეტი ახალი ლექსის დამბინადრებელი „წიგნი კიდობანი“ (გიორგი წერეთელი) „გიხაროდნენ!“

ვაჟა ეგრისელი უსათუთესი ლირიკოსია. ლირიკა, როგორც ლიტერატურის ჟანრი, ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე-მეოთხე საუკუნეებში ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა. „ლირიკის“ გაგებაში თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა ანტიკურისაგან განსხვავდით, ფართო შინაარსს დებს. დღეს ლირიკად ითვლება ლექსის სახით დაწერილი ყველა მცირე ნაწარმოები, გადმოცემული რომაა პოეტის განცდები, ემოციები, მის მიერტ ადამიანთა საგანთა და მოვლენათა შეფასება. ტერმინი „ლირიკული“, გარკვეული თვალსაზრისით, პიროვნულის სინონიმად იქცა. რვასი წლის წინ გენიალურმა **შოთა რუსთაველმა** თქვა: „შიარობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. მოგვიანებით ედგარ ალან პომ პოეზია ყველაზე მეტ ფილოსოფიურ მოვლენად გამოაცხადა, შესანიშნავმა ქართველმა პოეტმა გაბრიელ ჯაბუშანურმა კი ასეთი აზრის გამოთქვა: „პოეზია არის ფერის, პანგის და აზრის სინთეზი, ხოლო ობიქტი კი ხილული და უხილავი სამყარო“. ეს სიტყვები კარგად გამოხატავენ ვაჟა ეგრისელის პოეზიისათვის დამახასიათებელია ბუნების მძაფრი განცდა, რაც პანთეიზმამდე მაღლდება:



ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს გვაგონებს: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“.

**ვაჟა ეგრისელი** რომანტიკოსის სული აქვს და ამ თავის რომანტიზმში ერთგვარად ჩანს ჯაკომო ლეოპარდისეული კლასიციზმისა და რომანტიზმის შეერთება, მაგრამ არა როგორც „მსოფლიოს სევდის მომღერალი“, არამედ მისმიერი „მორალური თხზულებების“ სული. ჯაკომო ლეოპარდი სამშობლოს მგზებარე სიყვარულით გამოირჩევა, მაგრამ თავის თხზულებებში აწმუოთ კი არ სულდგმულობს და მომავლისაკენ კი არ იყურება, არამედ წარსულის ბრწყინვალე ქანდაკებებსა და ხელოვნების შედევრებს ეთაყვანება, მათზე განუქარვებელი სევდით ეწამება. ეს ნოლადაა გამოხატული მის საპროგრამო ლექსში „იტალიისადმი“. ჯაკომო ლეოპარდისაგან განსხვავებით, **ვაჟა ეგრისელი** სამშობლოს გმირულ წარსულს, მისი ხელოვნების ძეგლებს თანამედროვეობაში გადმოასახლებს ხოლმე და პირს სამშობლოს მერმისისაკენ მიუბრუნებს.

ბევრი რამ ანათესავებს **ვაჟა ეგრისელის** ლექსებს ჯორჯ გორდონ ბაირონის პოეზიასთანაც, მაგრამ მისი ლირიკული გმირის განწყობილება ფრიად განსხვავებულია. დიდებულ ბაირონს თითქოს აწმყოც სძულდა და ხშირად მომავალიც კი:



„ვგრძნობ თანდაყოლილ, მაგრამ საზიზდარს  
ცოცხლისადმი რაღაც სწრაფვას...“

...ამ სამყაროდან წასვლის შემდეგაც  
გიცოცხლებ მე ჩემს სევდასთან ერთად.“

### შალვა მჭედლიშვილი

(წიგნიდან – ტრადიციულისა და ნოვატორულის  
გაგებისათვის ვაჟა გვრისელის შემოქმედებაში)  
გაგრძელება შემდეგ ტომში



\* \* \*

დღე-დამის ფრთები მოუსხამს,  
ყვლი მზისკენ აქვს  
გაწვდილი  
და გზას უფლისკენ მიკვალავს.  
პატარა ბორცვს კი ბილიკი,  
მოუყვდია ყანწივით.

2001

\* \* \*

ქუხილის ხმაზე ჩაინგრა ცის კიდე,  
ღრუბლების სრბოლაზე  
უმატა ზღვამ ღელვას....  
რომ მიწის მხრებზე არა დგას  
ცა მყარად  
უფალი განრისხდა და ელვად –  
თვალთაგან ნაპერწკლები  
გაყარა.

1979



\* \* \*

რა ბედნიერი ვიყავი მაშინ,  
რაოცა ვბაძავდით დარტანიანს,  
პორთოს და ათოსს,  
ანდა ტარიელს,  
ავთანდილს,  
ფრიდონს!  
ეაჲ, საწუთროვ!  
მართლაც და ფლიდო.  
გადავიწყება ლამაზ წარსულს  
ათოვს და ათოვს...

2001



\* \* \*

ერთმანეთში ირევა,  
ვარდებიც და გვლებიც,  
რაც მითესავს,  
ვიმკი მას.

ერთად მივერევები:  
სიცოცხლეს და....  
სიკვდილსაც.

2007



\* \* \*

სიშორის მიღმა გარდახვეწილი  
ცა, მწუხარების  
იყო მთოველი,  
ცრემლად ეკიდა თვალებზე ნამი.  
მოხუცი მთვარე,  
ვით ბეთჰოვენი,  
ვარსკვლავების კლავიშებზე  
უკერავდა დამეს.

1979



\* \* \*

ციხეზე სათოფურები,  
ვამსგავსე ჟამთა ნატყვიარს,  
ძველია,  
არა ახალი.  
მთებს ბილიკები ატყვიათ,  
ვით დევთა ნამათრახალი.

1962



\* \* \*

ზღვის,

ლურჯ ნაპირზე მუხლზე დაცემა,

ჰგავს მომაკვდავის –

სიკვდილის წინ გაბრძოლებას.

დედამიწას კი მდინარეები

ამჩნევია –

ზებრის ზოლებად.

1999



\* \* \*

მთებს სიფერმკრთალემ გადაუარა,  
როცა დრუბლებია იწყეს

ლიგლივი.

იწივლა ელვამ, როგორც ნიბლიამ.

მერე დილის ცამ,

მზე ყვავილივით,

მკერდზე მიიკრა და

მიიბნია.

1978



\* \* \*

ნანგრევები ხატუსის,\*  
სამი ათასწლეულის –  
მიღმეთიდან უბარებს:  
– კოლხთა ხელით ნაქსოვი,  
სამშობლო რომ ახსოვდეთ –  
ხეთებსა და  
სუბარებს.

1968

---

\* ხატუსი – ხეთების დედაქალაქი (ძვ. წ. აღ. XXX ს.).



\* \* \*

მწუხარის მთვარე მოცარტივით,  
ვარსკვლავების კლავიშებზე  
უკრავს ნელა.

მე,

კი ვზიგარ და წარსულის უღრანიდან  
კოლხთა სული,  
გამოყავს ვით,  
ჩიტს ბარდიდან  
კუკანტელა.

1970



\* \* \*

სიცოცხლეს არა,  
დღიდან გაჩენის,  
მკვდრებიც,  
ცოცხლებიც,  
სიკდვილს მონებენ,  
და მის ბრძანებებს კვლავ ასრულებენ.  
სასაფლაოზე როცა კივილს  
გაიგონებენ,  
მოაწყდებიან მიწის ჭიშკრებს  
მკვდართა სულები.

1974



\* \* \*

ეგვიპტის წყვდიადში,  
სპარსეთს და ისპაპანს,  
ქართული სული სულ,  
ზღვასავით ჩქამობდა;  
და აი, ამიტომ დავიწყებას  
ალარ გაატანს,  
საქართველოზე ფიქრებით ჩამომდნარ:  
კოლას და არტანუჯს,  
ტაოს და  
არტაანს.

1986



## ხატუსა და ბაბილონს

ავთვალი და აგსული,  
კოლხთა დიდი წარსულის,  
ცხრაკლიტულში კეტავს მზეს:  
ხატუსა<sup>1</sup> და  
ბაბილონშე<sup>2</sup>  
და ფესტოში<sup>3</sup> –  
კრეტაზე.<sup>4</sup>

1986

---

<sup>1,2,3</sup> – უძველესი ქალაქები

<sup>4</sup> კრეტა – ნახევარკუნძული საბერძნეთში.



\* \* \*

პონტოს ნაპირზე ათასწლეულებს,  
დამე აძინებს მეგრულ  
„ნანათი“.  
და ცა წარსულის სახეს იოსებს.  
ჩემი კოლხეთი,  
ვით პელიოდი,  
ამოენთება და...  
სამყაროს გადაანათებს.

1980



\* \* \*

არ იძინებენ,  
მთელი ღამე  
სიშორეს ჩურჩულებენ  
გარსკვლავები —  
ოვალები ურჩხულები.

1987



\* \* \*

კოლხური ცის ოგვაჯეში,  
დამემ მთვარის კვერცხი დადო,  
ისმის ვარსკვლავთა კაპანი –  
იქ – წყალტუბოს,  
აქ – საირმეს...  
შენი ზღვა კი მოკამკამე,  
მღვრიე ტალღებს  
არ გაირევს.

1982



\* \* \*

ცა – ოკეანე და

მიაქროლებენ

მთვარის ნავს,

ღრუბლების ქაოქათა აფრები...

შენ თვალებს გივსებენ

ვარსკვლავთა ქაცები.

და სულს გიკორტნიან სისხლიანი

დღეთა ქორები.

დედამიწიდან გინდა გაქცევა

და მზერა გაგირბის შორეთზე.

1972



## ტყურბილი

(გარიანტი)

ვერავინ პოულობს მის სათავეს,  
აი,  
ზოგიერთს რა ამწარებს  
და ამიტომაც გულგრილია.  
კოლხთა წარსულიდან –  
მოწანწარე –  
შენი პოეზია წყურგილია.

1998



\* \* \*

დედამიწა უმზეოდ,

და ცა —

უფლის სამეფო,

აღარა დირს ჩირადაც,

დამით რომ არ ანთებდე

ვარსკვლავების —

ჩირალდანს.

1987



\* \* \*

ელგის დაკლაკნილი ბილიკებით –

წვიმები მიდიან,

მოდიან...

სულს უდრნით ზღვად ქცევის ეჭვები

ცა – ხან იცინის და

ხან ტირის.

და ამბოვრებულ ღრუბლების ბეჭებზე,

გარსპოლავები –

ფუთფუთობენ ცხვანტივით.<sup>1</sup>

1971

---

<sup>1</sup> ცხვანტი – (მეგრ.) მატლი.



\* \* \*

წარსულის პერიოდის კისერს  
ლეგენდა... და  
სინამდვილე –  
ბინას პონტოს პირას იდებს.  
და აღმართავს კოლხურ  
ცისკენ,  
ქარი ზეირთთა პირამიდებს.

1982



\* \* \*

კვამლი აუდიო ათასწლეულებს  
და დიდ წარსულთან  
ეამი მაშორებს.  
სიმწოდის ღიმილი პირზე მაშრება:  
რომ ადარ მესმის ხმები  
აშერის,<sup>1</sup>  
არც ტიბიების და არც ქაშქების.<sup>3</sup>

1991

---

1,2,3 — უძველესი კოლხური (ქართული) ტომები.



## ხილვა: ჰერაკლე და ჰერკულესი

ათასწლეულების მერეც,  
ტოგროსის და პონტის  
პირას,  
გჭვრებ წინაპრებს უერთგულეს:  
ამირანს და  
არამხუტუს,  
გმირ ჰერაკლეს და ჰერკულესს.

2001



\* \* \*

სიყვარულით და მზითმოსილები,  
ანგელოზების ტოლი,  
და სწორი,  
ლამაზ ქუჩებში ბევრნი მიდიან.  
და დღე და დამის  
ქალაქის ჭორი,  
გარეთ სარეცხის თოკზე კიდია.

1987



\* \* \*

გადაუღებელ ომის დელგმაში,

რა დრო გასულა,

გვეი,

ესერა!

წინაპრები კი ხმას არ იღებენ.

ისტორია კი ხსოვნის მესერით,

შემოღებული სამარეა –

მკვდარ თარიღების.

1997



\* \* \*

გამოენისას სოფლის შარაზე,  
ვიდაც მხედარი მიიმდერის,  
ვით ავთანდილი.  
ნახევარ სოფელს ჯერ ისევ სძინავს,  
მაგრამ ვიდაცის  
ცნობისწადილი,  
ცხვირ-პირს მიაჭყლებს  
ფანჯრის სველ მინას.

1972



\* \* \*

თავზე მახურავს ცა ბიბლიური,  
ბედის ვარსკვლავი –  
საღლაც კიაფობს.  
და მზეც აღსავლით ისევ იურვის,  
მოვარის ხომალდი –  
უსამანო სივრცეს მიაპობს,  
მეც, ვით იონა მიგალ იაფოს.

1978



\* \* \*

ბოლოს ბაყბაყ დევივით,  
უამი ყველას ჩაგვყლაპავს  
და ჩუმად მოგვინელებს.  
განა მართლა ოდი\* ვართ.  
ჩაგვიდამებს მზე უპეს  
ჰკითხეთ სენტ ეგზიუპერს,  
თუ საიდან მოვდივართ.

1970

---

\* ოდი – ღმერთი კოლხურ პანთეონში.



\* \* \*

დამის წევდიადში დილის ნათელს და  
არყოფნის მტკერში

მზის მარცვალს ვეძებ,  
ტყუპისცალია ჭირი და ლხენა

აი,

ამიტომ მკიდია ფქხზე,  
ქვეყანა ესე —  
ზენა და ქვენა.

1978



\* \* \*

ვარსკვლავთა ფერად ყვავილნარებში  
მოჩანს,

არც მოჩანს მთვარის  
ფერდობი.

ძვალშესალაგი არსის ციერის.

სიკვდილი არა,  
სიცოცხლეა მუდამ ცბიერი,  
ძეო ადამია!  
მას ბოლომდე  
ნუ მიენდობი.

2008

\* \* \*

ყელგამშრალი ეს ღრუბლები,  
ქარიშხლებს რომ ეწირება,  
თითქოს სვაგთა გუნდებია.  
ზღვით მოსული  
ეს წვიმებიც –  
ისევ ზღვაში ბრუნდებიან.

1984



\* \* \*

ვარსკვლავების სიცილში,  
მთვარე და სავლეთით და  
აღმოსავლით მზე ილტვის  
და ზეციდან მოისმის –  
ხმები სულსხვანაირი:  
არფისა და  
ფლეიტის,  
ციმბალის და დაირის.

1989



## 800 ღიალი მარგალიტი\*

ჟამთა ზღვამ რომ გამორიყა,  
გიო თბოლი მარგალიტი,  
ლირსი მზეში შეფუთვის:  
„ტოშფა“,<sup>1</sup> „ტაბუ“,<sup>2</sup> „მარგალიტი“,<sup>3</sup>  
„საწმისი“,<sup>4</sup> და  
„ეფუთი“.<sup>5</sup>

1969


---

\* ბიბლიამდელი ხეთი ქოდხერი (ქართული) წიგნი.

1,2. „ტოშფა“, „ტაბუ“ – 1500, 1500 წელი.

3,4. „მარგალიტი“, „ეფუთი“ – 5600, 5000 წელი.

5 „ოქროს საწმისი“ – (კვირბი) 1300 წელი.



\* \* \*

დაიჭექა და ქუხილმა,  
ელვა სტეორცნა ცას –  
მახვილად.  
ნისლის ფთილა იქცა ჩიტად.  
დილამ თვალი გაახილა  
და მზემ თვალი  
მოიფშვნიტა.

1994



\* \* \*

უცაბედად ზღვას  
ვით ელვა,  
გადაუფრენს ხმა მეხური.  
არ ჩანს გემი,  
არც მატროსი,  
მიუყვება ზვირთთა მაღალ საფეხურებს  
ქარიშხალი,  
და ფრთებსაშლის ალბატროსის.

2001



\* \* \*

მზე დასავლეთითი მიეშურება,  
იცინის დვინო კვლავ  
ხარის რქაში,  
ბლავილი გააქვთ პონტოს პირას  
ზვირთებს თუ ვერძებს.  
მე,  
ზღვის დელვაში და ქარიშხალში  
ან მარესა<sup>1</sup> და აიეტის<sup>2</sup>  
დიდ კოლხებს ვეძებ.

1968

1 ან მარე — ცის ქაცი, ქოლხეთისა და ქიმეთის

(ეგვიპტის) მითოები ხელმწიფე (3185-3120 წწ.წ.აღ.)

2 აიეტი — ქოლხეთის დევგენდარული მეფე (1300 წ. ძვ.აღ.)



\* \* \*

სდევ...

და ხელებს აღარ უშევებ  
შენ,  
სიცოცხლის კაბის კალთას.  
გული ასგზის ნახმალევია,  
და თხოვ გამჩენს ეს გაგმაროს.  
შენთან სიკვდილს  
რა ხელი აქვს,  
უძიროს და უსახლპაროს.

1987



\* \* \*

ეს ბაჯაღლო ვარსკვლავები,  
ცის მეუფის განძი არის,  
განგებით რომ მომაღლია  
კავკასიის მთა —  
ხომალდია,  
მყინვარწვერის ანძიანი.

1976



## მარდუქი

საიდანდაც ზღვას ესმის  
ხმა მთების და  
კორდების:  
„ჩქიმი რექ დო, მარდუნქი“<sup>1</sup>  
კოლხეთს მზე არ შორდება,  
ვით ბაბილონს  
მარდუქი.<sup>2</sup>

1972

---

1 ჩემი ხარ და მე გზრდი (მეგრ.)

2 მარდუქი – ბაბილონის პანთეონის უზენაესი ღვთაება.  
ქ. ბაბილონის მფარველი ღმერთი (ჩვ.წ.ძ. XVIII ს.)



\* \* \*

(ვარიანტი)

მამა – მშობელმან არ მიმატოვოს,  
ვითარცა წინათ  
კვლავ მიუარავდეს.  
მისი სიშორით კვლავ ვიღეწები.  
თვალმიპყრობილი ცისკენ  
მარადის  
ეს „მე ვარ ვაზი,  
ოქვენ კი ლერწები!

1967



\* \* \*

მიღმა შვიდი-რვა ათასწლეულის,  
სივრცეს ადამის გმინვა  
მოქსმის:  
— არავინ რჩება აქ სააქაოს.  
გადარჩენილი წარდგნას  
და ქაოსს.  
კავკასიონი —  
კიდობანი არის ნოესი.

1964



\* \* \*

მოკამპამე ზღვის სარკეში –  
რიკულები ჩანს აივნის  
და თოლია მეათედ თუ  
მეასედ,  
ჩამოივლის და აივლის –  
ზვირთოთა მაღალ ტერასებს.

1974



\* \* \*

ღვიძლი არიან ცა და მიწა  
და სიყვარული ერთმანეთის  
აღარასოდეს არ კლებიათ.  
მოვარე ძიძაა და  
გარსკვლავები –  
ანგელოზების აკვნებია.

1991



\* \* \*

წყალში დამხვრჩალოა საწყალ

სულივით,

ტალღა ამოდის და...

წუხს წუხილი.

არის ბუნების ფერისცვალება.

ღელვა მზე მიჰყავს

სადღაც მწუხრივით

და გარსკვლაგებით ცა იცვარება.

2003



\* \* \*

ენგური კლდეებს ფეხებს უკოცნის,  
გულ-მკერდს უხსნის და  
სუნთქვას ახშირებს.  
ელვაც გადუფრენს ცას  
დამფრთხალ ქორად.  
მთვარე უშბაზე ზის და  
მახვივით,  
იდუმალ უსმენს გარსკვლავთა  
ქორალს.\*

1973

---

\* ქორალი (ლათ.) გუნდური საგადობელი.



\* \* \*

მიმწუხრია...

და აწუხებს

გარსკვლავების –

ცას ჭრილობა.

და ზვირთების – ზღვას დედობა,

ქარის – აღვირახსნილობა

და გრიგალის თავხედობა.

1979



\* \* \*

ვინც რომ გაექცა ტანჯვას მიწიერს,  
მათი სულია ელვა –  
ღამით ცაში მროკავი,  
სიხარულით რომ თვალი ევსება,  
ვინც ჩავიდა და დარჩა მიწაში,  
მათ სურთ ამოსვლა,  
მაგრამ ფესვებით,  
ხეები ხელ-ფეხს კვლავ უბორკავენ.

1991



\* \* \*

ვით წინაპართა ხსოვნის სულები –  
ვარსკვლავები ცაში მარხია  
და დასტირის წუთი და  
წამი.

მზე – დღის სახეა,  
და მთვარე – დამის.

1959



\* \* \*

პრეისტორიის მოწყენილ ცაზე,

წარდგნიდან მოსული

კოლხეთი,

ბრწყინავს.


ვით ვარსკვლავი ისნის.

„კოლხეური ფსალმუნების“

უღრანში,

სამყაროს გულისცემა ისმის.

1961



## მოსხები და სპეციალისტები

თავს სიზმარშიც მაბრალებენ,  
მარები<sup>1</sup> და  
მაკრალები,<sup>2</sup>  
მოსხები<sup>3</sup> და შკვითინები<sup>4</sup> –  
პონტოს პირას მოდიან და,  
მიმწუხამდე ქვითინებენ...

1963

---

1,2,3,4 – შავი ზღვის (პონტოს) ნაპირებზე ქველად მოსახლე კოლხები  
(ქართველური) ტომები.



ალექს

\* \* \*

არყოფნიდან მოსული,  
მახვილს ვგავარ ალესილს,  
მოლოდინში აურის,\*  
საიდანლაც ხმა მესმის –  
რაღაც,  
არ აქაური.

1962

---

\* აურა (ბერძნ.) ნიავის ქროლა.



\* \* \*

ქარს შორიდან ზვირთთა მთები

მოაქვს როგორც

საზღაური.

ყინვა ჩუმად ბურტყლავს შუნებს

შიშველ-ტიტველ

ზღვას ზღვაური,

წვიმის მათრახს უტყლაშუნებს.

1971



## შეგებული პოლიტიკი

ბევრი ათასწლეულების,  
ბევრზე ბევრი ადევს  
კლიტე,  
გაღება გსურს,  
გედარ აღებ!  
მაინც მედგარი და ლადი,  
კოლხთა წარსულს ჩაკირკიტებ.

1964



\* \* \*

ზღვას და ქარიშხალს  
გამოქცეული,  
მთებს მიეფარა დრუბლის  
ნაგრამი  
და მზეს წყვდიადში ეცვალა მხარი.  
შორით გამოჩნდა  
ხომალდი მთვარის  
და წამს გელურმა  
ვარსკვლავებმა ცა დააბრმავეს.

1972



## გოლგოთი – XV-XIVს. ჩვ.შ.აღ.

წლები და მტრები კი,  
ზოგჯერ ჟამს –  
მოხელოვის.  
ცეცხლზე ნავთას ასხამდნენ...  
და მაინც ყვაოდა კოლხეთი  
პონტოდან –  
კასპამდე.

1978



\* \* \*

ურწმუნო თომებს  
უკვდავება არა სწამო სულის,  
სჯეროდათ სიკვდილის გზა ხისტია,  
რა თუნდ არბილონ.  
ჩვენ კი ვიციოთ, რომ გველოდება  
დიდი წარსული  
და მისკენ იწევს სული ჩვენი,  
როგორც ბაბილო,\*  
ბაბილონის თაღზე ასული.

1980

---

\* ბაბილო – ყლორტი.



\* \* \*

ღრუბლის ბალიშზე უდევს  
მთვარე,  
კით კვერცხი ციცრის.  
ცას,  
გარსკვლავებით ნაქსოვს,  
უფალთან დავდე ფიცი,  
რომ არაფერი ვიცი,  
არც არაფერი მახსოვს.

1983



\* \* \*

არაგვის მდვრიე ზვირთში შევცურე,  
 ხმალ-ხანჯლიანი მივალ  
 ხევსურეთს.

ზღაპრიდან დევთა ისმის ღრიალი,  
 მაგრამ დევები აღარსად ჩანან.  
 (თუმც მათთან შებმა  
 არაფრად მიჩანს).

სადდაც მუცოდან ფრუშკა ხმობს.  
 ჯლანს,  
 შატილიონს კი ბუთლა და  
 ხირჩლა.

1971



\* \* \*

შორეულ წარსულს,  
ვით კარაბადინს,  
ჩუმად გადაშლი,  
როგორც ვიკარი,\*  
ოქროს საწმისზე დარდით მოსილი.  
დამეტებს ახლოს აღარ  
იკარებ  
და თვალებიდან მზე ამოგყავს  
ჰელიოსავით.

1964

---


\* ვიკარი (ლათ.) მიტროპოლიტის, არქიეპის მოადგილე.



\* \* \*

თვალი დაუხუჭიათ,  
ლოდზე დაყრილ თარიღებს,  
თითებს ვადებ ცივ შუბლზე,  
ხმას არცერთი არ იღებს.  
მხოლოდ იქვე კუთხეში,  
თუ რამდენი იცოცხლა,  
ყვება ძველი გომური.  
სიკედილიგით მიცოცავს  
მწუხრი შემოდგომური.

1971



## შამაშ

ღამის უდრანიდან მოდის,  
გზას მიჰყვება  
თამაშ-თამაშ.  
მხრებით მიაქვს ვებერთელა  
მთვარის ლოდი  
და აღსავლით დგება შამაშ.

1963

---

\* შამაშ (სვან.) მხეთ, აქადერად – დღე.



\* \* \*

ცაზე კიდია ვარსკვლავები –  
ზარები თითბრის,  
ცის სიშორე რომ სინათლის  
ხმლებით,  
ვით ხევსურებმა ათასჯერ კეჭნეს.  
ვზიგარ ნაპირზე  
და გულში ვითვლი  
ხობისწყლის ფსკერზე –  
მნათებივით მიმოყრილ ქენჭებს.

1958



## ბარბაროსები

„...უძველესი საბერძნეთის მკვიდრნი

„ბარბაროსები“ (პელაზგები ვ.ვ.)

იყვნენ და არა ელინელები.“

პეტატე მილებელი (VII. ჩვ.წ.აღ.)

მაშინ არა,

აი,

ახლაც,

„ბარბაროსთა“ სიძულვილის,

ზოგნი ისევ მთესავია.

და კვლავ შურით შეცქერიან –

კრეტასა<sup>1</sup> და

თესალიას.<sup>2</sup>

1964

---

1,2 – კრეტა, თესალია – კოლხთა შეირეცვლი წინაპრების  
საცხოვრისი, თავისი 90 ქალაქით.

\* \* \*

მწყალობელი და ასე კეთილი,  
ჩემი მფარველი ცაში  
მეგულვის  
და მოსვლის დღიდან მიტომ  
შევტირი:  
სახელი ჩემი –  
წყვდიადიდან ამოკვეთილი,  
რომ ცად დაკიდოს ნათლის  
სვეტივით.

2001



\* \* \*

დრუბლების მაღალ გორაკებს იქით,  
აფეთქდა მთვარე,  
ვითარცა ნაღმი,  
ვარსკვლავთა სისხლით ცა დაიცვარა.  
და სოფლის ბოლოს  
აყმულდა ძაღლი,  
ო, ალბათ, ვიღაც გარდაიცვალა.

1964



\* \* \*

დვოისბოძებული წუთის და წამის,  
აღარ იციან მგოსნებმა  
ყადრი,  
რადგან აქ სულსხვა ქარები ქრიან,  
რადგან სხვებისთვის რაც არის  
ადრე,  
მათთვის ყოველთვის ისაა გვიან.

1996



## პელაზგებს და ტირსენებს

ისტორიის მეუფენი –

სტრაბონი და პელანიკე,

პეროდოტე,

პეპატე,

წარსულიდან ისმენებ:

კრეტაზე<sup>1</sup> და პელოპონესის,<sup>2</sup>

ელინები,

ვით არბევენ,

პელაზგებს<sup>3</sup> და ტირსენებს.<sup>4</sup>

1978

1 კრეტა – კუნძული ეგეოსის ზღვაში.

2 პელოპონესი – სამხრეთ საბერძნეთი

3 პელაზგები – კოლხთა წინარე ტომი

4 ტირსენები (კრონები) კოლხთა მონათესავე ტომი.

\* \* \*

წინაპრების სულზე მლოცველს,  
წარსულ დღეთა მოამაგეს,  
უკვდავება პირს გარიდებს.  
რადგან ჩემო!  
ქვით კი არა სიტყვით აგებ,  
შენ „კოლხური ფსალმუნების“  
პირამიდებს.

1964



## მრჩევლი

„ერეხელის“ შოორ სიმღერას,  
ისე ვისმენ, როგორც „ლილეს“  
იქნებ ეს ხმა გავაგონო,  
ისტორიის ნაცარწაყრილ –  
დორიელებსა<sup>1</sup> და დრილებს,<sup>2</sup>  
და ეს ფიქრი დიდ წარსულზე  
ცხოვრების წესს მიადგილებს.

1978

---

1,2 – ქოლხთა შორეული წინაპრები.



\* \* \*

მზეს და სიცოცხლეს შვთხოვდი  
უფალს,  
რადგანაც მისი მემართა  
გალი;  
როს ღამემ მთვარის აუშვა აფრა;  
მაშინ ანგელოზს მოვქარი თვალი  
ცაში...  
რომელიც იმწამსებე გაქრა.

1980



\* \* \*

სინათლის ეტლით გადაუქროლეს  
ღმერთებმა მძინარ  
ათასწლეულებს,  
მათი ბორბლების ხმა ჩამოდის  
ჩვენთან ქუხილად.  
დამის წყვდიადი –  
ვარსკვლავების არის წუხილი,  
დედამიწაზე უხმოდ წვეული.

2001



## პოლენები და საპირებები

რომაელთა აფრებს ჭვრეტენ  
და წამით არ იძინებენ,  
მათთან შებმას აპირებენ:  
ბექირები,<sup>1</sup>  
ბიძირები,<sup>2</sup>  
კოლხები<sup>3</sup> და საპირები.<sup>4</sup>

1969

---

1,2,3,4 – კოლხთა მონათვესავე ტომები.



\* \* \*

მიშვებულია ნების სადავე,

გაქრა სიშორე და

სისადავე.

მორჩა!

საკუთარ თავსაც გადაველ!


აწ თვით უფალიც ვეღარ მიშველის,

რომელიც ციდან მწამს

მითვალთვალებს,

ვითარც მოვედი, წავალ შიშველი!

2008



## დეიონქს, თჟანდიღს

კოლხეთის დიდ წარსულში,  
ჩუმად სამოგზაუროდ,  
უნდა ვთხოვო ბილეთი:  
დეიონქს,<sup>1</sup>  
თუკიდიდეს<sup>2</sup>  
და პეპატე მილეტელს.<sup>3</sup>

1961

---

1,2 დეიონქს, თუკიდიდე — ბერძნ. ოსტორიკოსები.

3 პეპატე მილეტელი — ბერძნ. დოგოგრაფოსი, მწერალი.



\* \* \*

ხან წინ გვისწრებს დაოთხილი,  
ხანაც მოგვდევს დრო და ჟამის,  
უკან პუნქ  
და მტკრით ფარავს ხეთასა და მიდიას.  
წვიმის წვეთებს თავზე ხშირად  
უკაკუნებს  
და... ცას მიწა,  
სულ ფეხებზე ჰქილია.

1999



## არგონავთებისა და დოლიონების პრაღლა

(ნაწყვეტი პოემიდან)

დაერია დოლიონებს,<sup>1</sup>  
იაზონის ლაშქარი და...  
წკვარამ დამით რომ იომებს,  
დილით კიზიკოსის<sup>2</sup> სისხლით,  
შედებილი თეთრი დროშა,  
ცაზე ცოდვად დაკიდეს...  
(ეს ასე აქვს მოთხოვბილი,  
დიონისოს ქალკიდელს<sup>3</sup>)

1968

1 დოლიონები – პელაზგთა მოდგმის ტოში


2 კიზიკოსი – დოლიონების ახალგაზრდა მუზე,  
რომელიც მოქლა იაზონმა.

3 დიონისოს ქალკიდელი (IV ს. ჩვ.წ.აღ.)

## ჯეონი

ათასჭირგამოვლილები  
დღეები –  
იქცნენ ტინებად.  
სიკვდილს,  
სიცოცხლით ვეომე.  
აქ –  
მტკვარი მიედინება,  
ჯოჯოხეთში კი ჯეონი.

2003



## ხილვა: აიგტის სამეფო

წარსულის ცა გაიხსნა,  
ოქროდ იქცნენ წამები  
და ვარდებით მოირთო;  
აიგტის სამეფო –  
კოლხეთი და კორინთო.

1967



## ბერძნების სამკუთხედი

რაც უფალი ამქენებად –  
ყოფნისათვის გვაკურთხებს,  
ვიბრძვით ჩვენ დღე –  
ნიადაგ.  
თუმც ცხოვრება მიაგავს –  
ბერძნების დიდ სამკუთხედს.

2000

## ရေမခဲ့၏

အိပ်ခိုင်း<sup>၁</sup> မာမာ ဂားလွှာခွဲ

များ၊

သမ္မတရေး ရေမ ဖြောက်၏၊

ဂါရိကျေး<sup>၂</sup> နှင့် စုစုပေါင်းများ<sup>၃</sup>

မြတ်လွှာပို့ဗော် လွှာပို့ဗော်၊

ရေမပုံး နှင့် ရေမပျော်<sup>၄</sup>၊

1971

၁ အော်ခိုင်း – ဒုတိယနှစ်တွင် မြတ်လွှာပို့ဗော် လွှာပို့ဗော် များ

၂ ဂါရိကျေး – အော်ခိုင်း နှင့် (သို့မဟုတ်)

၃ စုစုပေါင်းများ – ပြည်တွင် ပို့ဗော်

၄ ရေမပျော် – ရေမပုံး (ရေမပုံး နှင့် ရေမပျော် များ ပေါင်းစပ် 3.1.)

စုစုပေါင်းများ နှင့် ဂါရိကျေး များ



\* \* \*

გვეი!

ჩემო, ქაცის ცხოვრება,  
არის დაჭრილი ვეფხვის ხავილი,  
გარს რომ დღეებია ახვევია  
მშიერ ფოცხვრებად.

და...

უდარდელად ნიშა ხარივით  
მიდის სიკვდილი და...  
სიცოცხლეს მიიცოხნება.

2001



\* \* \*

წარსულიდან რომ გადმოაქვთ ქარებს,  
– ნეტავი რაა,  
რომ არ უჩანს სახე და პირი  
– მედეას ხმაა!  
ენატრება კოლხეთი და...  
სიყვარულს ტირის...

1958



\* \* \*

ღამის წყვდიადით გამოკეტილი,  
წარსულის ბევრი შევაღე კარი:  
ან ვინ ანგლები,<sup>1</sup>  
ან ვინ ინგები?!<sup>2</sup>  
მე, შოორეული ისტორიის ნაცარში  
ვიჩხრიკები,  
იქნებ,  
კოლხეთის დაბადების  
წავაწყდე თარიღს.

1962

1 ანგლები – ძველი ჩრდილო გერმანელი ტომები (III.)

2 ინგები (ინდივლები), რომლებმაც შექმნეს მაღალი პულტურა.



## მ გ ი მ ი ს კ ა ც უ ნ ე ბ ი 0

(ვ ა რ ი ა ნ ტ ი)

ლ რ უ ბ ლ ე ბ ი ს ბ ნ ე ლ ქ ო ხ მ ა ხ ე ბ შ ი  
ც ხ ღ ვ რ ო ბ ე ნ ,  
მ ა გ რ ა მ ხ ა ნ დ ა ხ ა ნ ,  
უ ძ ი ლ რ ე შ მ ა ა ც დ უ ნ ე ბ თ :  
დ ა ძ ი რ ს გ ა დ მ თ ყ რ ი ს  
ფ ე ხ შ ი შ ვ ე ლ  
წ ვ ი მ ი ს პ ა ტ ა რ ა კ ა ც უ ნ ე ბ ს .

1988



\* \* \*

ტანზე იცვამენ ათასწლეულებს  
და სახე თოვლით  
შეფერქილი აქვთ  
და დგას სამი ძმა –  
მოებად ქცეული:  
უშბა და შხარა  
და ეს თეთნულდი:  
ამირანი, არამხუტე და ბეთქილია.

1966



\* \* \*

მიწებებია ტუჩები ტუჩებს,  
ერთად ქცეულან სული და  
ხორცი.  
სუნთქვა შეპვრია ბანჯგვლიან გულ-  
მკერდს  
რადგან ხედ იწვის კოცონი კოცნის,  
ვნება ცრემლების  
საკმეველს უკმევს.

1957



\* \* \*

ქარები ელვის გრძელი თითებით,  
ქათქათა დრუბლებს  
არ აკემსებენ.  
მთვარე აგია ვით აშრიალი\*.  
ცაში სინათლის ტყე რომ  
შრიალებს,  
ვარსკვლავები,  
იმ ხეების არი ფეხვები.

1969

---

\* აშრიალი – მახე.



## თოვლის პაცი

პატარა და შესაბრალი,  
მიჟყვება კლდეთ ნაპრალებს,  
ტანზე ზამთარი აცვია  
ის მონადირეს არა ჰგავს,  
უფრორე თოვლის პაცია.

1962



\* \* \*

მეტეორები ჰგვანან პოეტებს,  
არყოფნით ზეცის სიგრძე,  
სიგანე  
და თავს იკლავენ,  
ვარდებიან ძირს მეტიჩრობით.  
მეც მწარე დღეებს მივაბოლებ,  
გით პორტსიგარებს  
და დამგების ბოლში ვიხრჩობი.

2007



\* \* \*

გადაწყვეტილი ყოფილა ცაში,  
აწ აღარ შველის ვაი და  
ვიში.  
იქ გაწყდა ძაფი, სად იყო წერილი,  
შენს სიყვარულში,  
შენს სიძულვილში,  
მე ყველაფერში მიმიძღვის წელი.

1963



## „მინოსშრი დამზერლობა“

დუმს კორინთო და დუმს კრეტა,  
მიმოყრილი კუნძულები  
ქვები გახლავთ დომინოსი,  
რაზეც ოქროს წარწერაა –  
პასიფაჯს და  
მინოსის.

1966

---

1 პასიფაჯ – ჰელიოსის ასელი, აივის –და,

მედებს – მამიდა.

2 მინოსი – კრეტის ლეგენდარული მეფე-

პასიფაჯს მეუდღე.



\* \* \*

მარადისობის ჯოხს დაყრდნობილი

მთვარეც,

თითქოს ცის მიაგავს

სტუმარს.

და ვარსკვლავები, როგორც წამებულთა

ნიშები,

სიმყუდროვეში დგანან და დუმან

და ამ დუმილით,

რაღაც უბედურებას გვანიშნებენ.

1997



\* \* \*

შეეცოდა...

და მწუხარისას,  
ფერდაკარგულ დასავლის ცას  
მოვარემ შუქი მიაფერდა.  
მთა თეთრ ფერს რომ ასწავლიდა  
მიწას,  
გაიიასფერადა.

1978



\* \* \*

სიცოცხლე –

რისხევად თავსდატებილი  
ცხოვრება უღვთო და წვალებული,  
მოკვდავთ სისხლს და ცრემლს  
კვლავ აშრობინებს,  
წარსულში სძინავთ  
მიცვალებულებს,  
მომაგალში კი ჯერარშობილებს.

2003



\* \* \*

ღამით დახურულ ამ ცისქვეშეთში,  
სიკვდილი არა,  
სიცოცხლეა უფრო საშიში,  
ცოდვა და მადლის დიდი სისწორით.  
მიწაზე არა,  
იგი ცაში ზის,  
გინც ყოველივეს ათანასწორებს.

2004



## ဗုဒ္ဓတေလျှော်စွဲ အသေ

ဒိုက်ပေါင် မြတ်နောက်,  
ပိုက်ပေါင် မြတ်နောက်  
အရှင် မြတ်နောက်၊  
မြတ်နောက် မြတ်နောက်,  
မြတ်နောက် မြတ်နောက်  
— မြတ်နောက် မြတ်နောက်

2006



## პორიგანტები

კოლხთა შოორეული წარსულიდან,  
რეა-კიბელეს  
რომ მოყვებიან,  
ცხრანი არიან,  
მაგრამ ზოგჯერ ათდებიან,  
უცხონი კი არა,  
ლემნოსელი კაბირ-  
კორიბანტებია.\*

1986

\* კორიბანტები – მცირე აზიის ავტოხოვნური ტომებისა და წინა ელინურ პერიოდში კრებაზე მოსახლე პედაზგების მატრიარქალური დფთაების რეა-კიბელეს ქურუმებია.



## დრო და პოეზი

ოცნების ციდან ჩამოვარდნილი

სიტყვა ფეთქდება ბომბად

ატომის.

და მერე იწვის, ვით ნაგასაკი.

ის მოდგმა გახლავთ

სულ სხვა გვარ-ტომის,

დრო ვერ კლავს პოეტს,

ჰკლავს ლექსები და

ჰკლავს ასაკი.

2008



\* \* \*

წამლად,  
ნასახი არაჩანს დრუბლის,  
ნიავად რომ ქრის –  
ჩამავალი მზის ქარია,  
სუფთა და ლადი.  
ცა – ვარსკვლავებით მოჩითული  
ეზოა უფლის,  
მთვარე – ჭიშკარია,  
რომელსაც მიმწუხხრისას  
აღებს.

1989



\* \* \*

(ვარიანტი)

ჩემი წიანპრების ოდაბადე\* –  
ანაკლია,  
ფოთი და ყულევია,  
და ქამს ქარიშხლის,  
ნაპირებს რომ აწყდებიან,  
ზეირთები კი არა,  
უძველეს კოლხთა სულებია.

1972

---

\* ოდაბადე – (მეგრ.) დაბადების ადგილი.



\* \* \*

ამბობენ:

მოხუცს არ უხარია,  
სიკვდილმა ფეხზე რომ დაიკიდა.  
და ქარი რომ ქრის,  
სულ სხვა ქარია.  
სადღაც არ ყოფნის იხმის არია  
და ელოდება წერილს იქიდან.

2001



## მპროკა, ლიბია, 1981

წეს ჰეროდოტე –  
გავიგე გვიან:  
თუმც აწი ამას რა აზრი აქვს,  
რომ კონტინენტებს,  
კოლხ ქალების სახელი  
აქვია:  
„ეპროპა“,<sup>1</sup>  
„ლიბია“<sup>2</sup> და  
„აზია“.

1989

---

<sup>1</sup> „ეპროპა“ – ეპროპა (ოროფა) (მეგრ.) – სიყვარული.

<sup>2</sup> კონტინენტებს ლიბიას ათასწლეულების მერქ ეწოდა „აფრიკა.“



\* \* \*

როცა დელვის ბილიკებით  
ჩავიარე მე ზღვისკარად,  
ხმა მესმა ცის კამარიდან  
მათი, ვინც იქ გაიპარა  
და მზეს თვალი აარიდა.

1997



\* \* \*

ცაში დანთებულ ვარსკვლავების  
მაღალ კოცონზე,  
თავი ათასჯერ უნდა  
დაიწვა,  
ლოდი რომ დარჩეს კლდეთა ნაშალი.  
რა პატარაა ეს დედამიწა,  
რომ ფენიქსივით ფრთები  
გაშალო.

2001



\* \* \*

თუ სიკვდილმა არ მიყელა,  
არ დამადგა თავზე ადრე,  
კიდევ ცოტა თუ მაცალა.  
დავრგავ ცამდე აწვდილ ჭადრებს,  
მღვრიე ჟამთა  
ქარსაცავად.

1982



\* \* \*

დასავლეთით ენგური და,  
აღსავლით კი თერგი ხელობს,  
და მოგესმის გედის მდერა.  
კოლხეთია —  
ეგრისელო!  
შენი მზე და  
ბედისწერა.

1967



\* \* \*

შავითიდან...

ოუ ქვესკენლიდან –  
მოდის და მოდის ზვირთთა  
არმადა,  
ხმა კი სამყაროს ჟრუანტელად უვლის  
ეს ქარიშხალი კი არადა,  
ზღვად დაღუპულთა  
ბობოქრობს სული.

1979



\* \* \*

ათასფრად მორთული  
ვნახე მთელი სამყარო.  
აშ სიკვდილი მიმელის,  
გით რტო ამონაყარი –  
ჩირთისა და  
კიმელის.

2008



\* \* \*

კოლხთა სახელი ზეცას წვდებოდა  
და არ ყოფილა  
მტრისგან ძლეული.  
გამარჯვებებს კი წარწერებად  
კლდეებს კიდებდა  
მან ჩაუქროლა ათასლწულებს  
და მოაღწია დღემდის  
დიდებამ.

1984



\* \* \*

(ვარიანტი)

სიყვარულის მგალობელი,  
მე გახლავართ ჩიტი  
ღაუ\*,  
პოეზიის უდაბნოში –  
მალე უნდა ვირიჟრაჟო.

1954

---

\* ვაჟა ეგრისელს ბავშვობისას დაჟოს ეძახდენენ.



\* \* \*

ფეხდაფეხს სდევნიდნენ შავი ღრუბლები,

მზე ჩავიდა და

უცებ შებინდდა,

შიში არაფრის,

არავითარი.

მხოლოდ ვარსკვლავთა ქოხმახებიდან, –

ხმა სევდიანი ისმის კითარის.


2006



## ზღვა გაგიხსნებს

ჩახედე ზღვას თვალებში,  
შეატყობ სისველეს,  
(ხსოვნის ბილიკებით  
მწუხერისას მიმსვლელო)  
ეს იმას ნიშნავს ზღვა გაგიხსნებს  
ათასი წლის მერე,  
ვაჟა ეგრისელო!

2005



\* \* \*

დაუმშვენებიათ ტაროებს ულვაშები,  
აღარ ეპუებიან  
დილის ნისლებს  
ქარები ხანდისხან იწივლებენ,  
ყანაში,  
სფრელის თხრილს გოგრა მისდევს,  
თავისი ყვითელგულა წიწილებით.

1962



\* \* \*

ვინც არ ყოფილა შეყვარებული,  
 თქვენ ნურას ეტყვით  
 ტრფობის უმეცართ,  
 ნურცა აშპარად,  
 ნურცა ფარულად.  
 თუ სხვებმა გკითხონ, რა მოკლაო,  
 ჩემზე, უეცრად,  
 ჩუმად უთხარით –  
 სიყვარულმა!

1963



\* \* \*

გამოენისას აღმოხდება ცას მოვარე  
გმინვად,

რადგან ვარსკვლავთა აწევს სიმძიმე  
სიცოცხლე თუა, —

მოვარეზე რომ კრთის და  
ციმციმებს...

მთებს მიყრდნობია და დამეს სძინავს,  
რა ქნას საწყალმა,  
ერთი პირიც წყალიც იძინებს.

1960



\* \* \*

3წუხევარ:

კოლხთა ისტორიის,  
გერ ვპოულობ სასრლს,  
საწყისს,  
და ეს არ ანაღვლებთ –  
ფრიგიელს და  
ქანაანელს.  
გვ, გინ იცის, ოქროს საწმისს,  
გარდასულთა დროთა ქარი,  
ახლა სად აქანავებს.

2005



## ორხილებები

არყოფნის ტყიდან მოსულებს,  
ფერი ედებათ მიტკლის,  
ცას სდუმან ორხილები,  
და მიმწუხრისას დღეები –  
მოარბენინებ –  
სიკვდილს.

2004



## მეცნერე საოცრებაა პოლსეთი

ძველი კოლხეთის სიყვარული –  
შემყრია განუკურნებელ  
სწეულებად,  
ვითარც მოყვრისა და მოკეთის.  
მზიანი ათასწლეულებით –  
შორიდან ხელს მიქნევს  
კოლხეთი.

1980



## პოეზიის შანა

წინ მიღებს წიგნი –  
ცხოვრების,  
ან ახალ ფურცელს გადავშლი,  
ანდა დავიწყებ თავიდან.

და...

პოეზიის ყანაში,  
მოვკვდები,  
ან სვრელს გავიტან.

1959



\* \* \*

ქარები კარებს კეტავენ,  
შლიან ღრუბლები  
მხარ-მკლავებს.

მათი რა იყო ნეტავი?! —

ზღვა,  
ოოლიები მთელი დღე,  
კივილით თავს რომ აკლავენ...

1971



\* \* \*

მოვარე სახლიდან აღარ გამოდის,  
ვითარც ქალი განათხოვარი,  
შემოსეული უცხო დარდებით.  
ხარ პოეზიის მილიარდერი,  
და სიყვარულის ხარ  
გათხოვარი.

1972



\* \* \*

უფლის მოშიშსა და მოსავს,  
აწი რწმენად უნდა მენოო,  
მომთვარული ყალმით მხატო.  
სიყვარულის ღმერთთა  
ღმერთო,  
მზით ნაჭედო ხატის-ხატო.

1986



\* \* \*

ორთაჭალით ქუხილის ხმაზ  
და დახურვამ დარაბების,  
გაიელვა წამად ავის.  
ოითქოს ცეცხლი არაბებმა,  
ისევ ისე წაუკიდეს –  
მახათას და  
მამადაგითს.

1966



\* \* \*

ზღვისფსკერზე სძინავთ  
 ათასწლეულებს  
     დაუსრულებელ ომით  
     დაღლილებს  
 სანამ მიაღწევს ცის ნაპირამდე,  
     დგამს ქარიშხალი ზვირთთა  
     ანწალებს.<sup>1</sup>  
 და... პონტოს პირას, როგორც პირატი,<sup>2</sup>  
     წარსულის ქარი გვლავ  
     დაწანწალებს.

1962

1 ანწალა (მეგრ.) ზვინი

2 პირატი – ზღვის კანალი, მექობრვე.



\* \* \*

ბავშვივით ისევ განცვიფრებს,

მთებს რომ ნისლები

ფარავენ.

ზღვა რომ ასკდება ცის კიდეს.

მასთან „იმ“ სოფლის სიდიდე,

და „ამის“ სიპატარავე.

2007



\* \* \*

უფლის ფრთოსან ანგელოზებს –  
ჩიტებს ნუდარ ეხუმრებით,  
მიმწუხამდე გზებს უმზერენ,  
და მერე კი ბეღურები,  
კბილს უდებენ მზესუმზირებს.

1972



## ფოთი (ფშთი)

სხვაც იყო...

მაგრამ შენა ხარ,  
წარსულში მძინარ დიდ კოლხეთს,  
ვინც დამეები უთია.  
რადგანაც იგი სიცოცხლე,  
შენი მზე,  
შენი ფუთია.\*

1964

---

\* ფშთი — უძველესი კოლხური პანთეონის ქალღმერთი.



\* \* \*

დროს სხვა ძალა აქვს ტიალი –  
ორგულს გაგხდის  
ერთგულს და,  
დილას, საღამოდ შემოსავს.  
და ზღვისკენ მავალ ენგურსაც,  
მთებისკენ გაატრიალებს.

2001



## პოლიტიკი მგეოსისა და აღდგომის პუნქტუაცია

მაშინ სხვა იყო,  
მიღმა ასი ათასწლეულის,  
სიცოცხლე ახლა უფრო მეტია,  
თუმცა მაშინაც იცი?  
პოეტო!

რომ კოლხი კოლხეთს ვერ დაეტია,  
მაშინდელ სამყაროს მოედო.

1969



## მუზების ტამარი

ჰელიოსის<sup>1</sup> ნათელს ჰფენდა –  
 კოლხურ მიწას ცა –  
 მზიანი  
 და რეპავდა სხვა ზარი.  
 სხვაგან არა,  
 აქ ფაზისთან –  
 იდგა თვითონ ფასიანე<sup>2</sup>  
 და „მუზების ტამარი“.

1963

---

1 პედიონი – მზის დმურთი

2 ფასიანე – ფაზისხელი დემრთქალი, რე-კიბელეს ერთ-ერთი ზედმეტი სახელი.



\* \* \*

ზვირთების მთებზე სირბილით,  
ქარებს მუხლები დაღლიათ,  
თუმც ცას დელვაში ახვევენ  
ზღვა მთვარეს უმზერს  
ნაღვლიანს,  
თავსწაკრულს დრუბლის ნახევით.

1961



ალექს

## აიგთის სასახლე

(ვარიანტი)

უხმობთ უფალი,  
მიტომ მწვერვალებს,  
მაღლა ეწევათ ძალა მთებური...  
ცაზე ღრუბლების არჩანს ნასახი.  
და... მირიადი ვარსკვლავებით  
განათებული,  
მოვარე კი არა,  
აიეტის ბრწყინვს სასახლე.

1967



\* \* \*

ვითარც ადრე,  
მითაჟამში,  
ფაზისის და პონტოს პირას,  
სიყვარულად დავინოები:  
— წარსულიდან მომკივიან  
ლეგენდები და  
მითები.

1968



\* \* \*

საფეხურებად ცხრა ცა,  
სულ მარმარილოდ თლილი,  
გზა გიდევს შორზე,  
შორი...  
  
ცერი გედება ლილის,  
როს გადაგიფრენს ჩრდილი,  
ბარათაშვილის ყორნის.

2006



## პირველი

ათასწლეულების მერეც,  
კოლხი,  
კოლხობს,  
კვლავ იგია.  
აიგზი —  
მარტო კოლხეოს?!  
— ბრძანებლობდა  
თესალიას და ფრიგიას.

1971



## 0სეზ სპართში

ჩემი სამშობლოს მთათა სიმაღლით

გაშტერებული და

მონუსეული,

კლდეზე ვკიდივარ დამფრთხალ

არჩვივით.

ცაო,

გამხადე კერძი უფსკრულის

და უპვდავებას გადამარჩინე.

2003



## დიდგორი – 1121

ჩამოწოლილა ბინდი მომხდეურთა...  
მათი სიმრავლე  
ალბათ იჯავრეს,  
დიდგორის ველზე დამეს ათევენ  
ქართველები და  
პირს უსინჯავენ  
ხმლებს,  
ელვად კრთება მათი ნათელი.

1996



\* \* \*

მწუხარიდან –

განთიადამდე,

უნდები ცაში ხეტიალს

და გზანჯავს ფიქრი ამკლები:

ეს –

სიცოცხლეზე მეტია,

სიკვდილზე ცოტა ნაკლები.

2000



\* \* \*

სულ წვრილ-წვრილი ვარსკვლავებით  
ცას თვალები ევსება.  
და შენც ლომპაცს  
თითი გეწვის:  
ერთი ციცქა,  
ერთი ბეწვა,  
სულ პატარა ლექსებით.

1971



\* \* \*

„პალესტინაში რუსთაველის სურათი

შეურაცხევეს.“

(გაზეთებიდან)

აქ,

სვეტიცხოვლის რეკენ ზარები,

იქ –

უძველესი ჩვენი სინას მთის,

რომ კვლავ შური და

მგრობა მძინვარებს...

მაინც სიცოცხლის მოდის მდინარე,

ადიდებული მზით და

სინათლით.


2007



\* \* \*

ცა იდრუბლება ჩემი წუხილით –  
გარდასულ დღეთა დამრჩა  
ვალები,  
შორს გაფრინდნენ და აწ აღარ მოვლენ;  
თოლიებივით,  
თებერვალები,  
თეთრად,  
ცის მიღმა გადაითოვლნენ.

1962



\* \* \*

აქვე არის აფხაზეთი,  
ზღვა წინ მიდგას  
გან-მუხურად.  
და წარსულში სძინავთ მთავრებს.  
ღამემ კარი მიიხურა,  
გარსკვლავები დარჩნენ გარეთ.

1987



## მომახმარე

არც დავითი ჩანს,  
არც კონსტანტინე,  
ლოცვად დამდგარა მთა  
მოწამეთას.  
წარსულს ჩურჩულებს ძილში  
ძირულა...  
ფიქრთა მთიებში ცაც ჩაძირულა.

1977



\* \* \*

ელვის პომადას წაისვამს ტუჩზე

ცა...

და ვარსკვლავებს ჩაიღიმილებს.

ზღვა კი ნაპირზე ამოსვლას ცდილობს.

თმაგაწეწილი ხმა მოაქვს

ქარებს:

შვილოოო!!!

შვილო...

1971



## 02-0220 თრიალეთის მთხვევი

მოდის და მოღელავს,  
დიდგულობს ალგეთი,  
ეს ქედები კი რამ დაამუნჯა,  
ადრე, ნისლის ყაბალახი რომ  
ხურებიათ.  
თრიალეთის მთებში,  
რომ ბოლავენ ლურჯად,  
ია-იები,  
იქნებ წმინდა ნინოს ნაფეხურებია.

1960



\* \* \*

სანთლებს ანთებდნენ მწუხრის  
ლოცვები

მაცხოვრის ხატთან...  
გაჭრა არჩივმა:  
დრუბლებს მთიებმა გზა გაუნათეს.  
გაირღვა სივრცე,  
გამოაჩინა,  
ცამ მთვარის საყდრის თეთრი  
გუმბათი.

1986



\* \* \*

ცას არ აბრმავებს შუბთა ბრწყინვა  
რამზეს მეორის

და ზღვას არ აკრთობს ხომალდები  
მეფე პიროსის,

თეთრი აფრებით –  
დამის მთოველი.

მე ვდგავარ პონტოს სანაპიროზე  
და შორეთიდან,

კოლხეთის დიდ წარსულს  
მოველი.

1972

\* \* \*

მწუხარის ლოცვებში დამდგარ  
საყდართან,  
უცებ მიწყდება ზეცას  
ვარსკვლავი,  
ჯვარს გადაიწერს ბნელში მორჩილი.  
ძაღლი გაჟყვება შარას წკავწკავით,  
ფეხებშუა შიშის  
კუდამოჩრილი.

1959



## XX საჟურნალი

პონტოს სანაპიროზე,

უკვდავების ხისაგან

გამოჭერი არშინი.

ბუმბერაზმა მხედრებმა ნახეს და...

გაიოცეს.

მაგრამ მათმა ყიჯინამ,

წამით ვერ შეგაშინა,

ახლა მხრებზე იზომებ

საუკუნეს მეოცეს.

1999



\* \* \*

მთაზე ღრუბლები დადგეს ზვინებად  
ქარებმა,  
მერე სივრცე წაშალეს.  
უზარმაზარ ლოდს ფეხი წამოკრა  
არაგვმა და გზა-გზა მიიგინება  
და ყურებს იცობს  
ჯვარი ლაშარის.


1976



\* \* \*

ფრთაგაშლილი თოლიები –  
მოქათქათე ჩანს ააფრებად.  
და იქვე კი ციცქნა ტალღას  
ეტყობა რომ სურს გაფრენა,  
მთვარის იქით,  
დამის გაღმა.

1963



## თუშეთში

მოქმდან კავკასიონის,  
კიდით-კიდე გაშლილი,  
კოლხეთი მეზმანება...  
და მინდა,  
მე არა,  
შენ აქო.  
ალა-ზანი ზანების,  
ომალო,  
დიპლო და შენაქო.

1976



## 0სეპ ან მარე

ხუთიათასწლეულის იქიოთ –  
კოლხეთს და ქიმეთს<sup>1</sup>  
მეუფობდა ან მარე.<sup>2</sup>  
და ახლა კი ზოგ-ზოგი:  
წარსულში ასამარებს  
ისტორიას კოლხეთის.

1971

---

1 ქიმეთი – ძველი ქავიბებე

2 ან მარე – ცის პატი (ძვ.წ. 5185-5120)



## ჩალეიანი ტალღა

შოორეული წარსულიდან,  
მოყვებოდა კოლხეთისკენ  
თათრის ამაქარს.  
და ის ტალღა ჩალმიანი,  
ზღვის ნაპირთან მოძუგძუგდა  
როგორც აღა,  
თქვა: „ალეიქემ!“  
და წამს გაქრა.


1963



\* \* \*

ღამეულ გზით მიმავალი,  
აღარა ჩანს განთიადი.  
მიწას,  
ზეცა ჩადრად ხურავს.  
და დილამდე შუქი ასდის –  
ვარსკვლავების ნაფეხურებს.

1965



\* \* \*

ცის უგარსკვლავო დამით მოსილი  
და სატანური გზებით მავალი,  
დაუფლებია ხსოვნას  
ავსული.

ადარ აწმყო ჩანს,  
არც მომავალი  
და... მე,  
კოლხეთის ვცხოვრობ წარსულით.

1972



\* \* \*

შენც უკვდავებას ეპოტინები,  
რადგანაც თავი მოგაქვს  
მზის შვილად.

ღმერთმა ნუ ქნას და რამე რომ მოხდეს!!!  
მაშინ შენსავით –

ასე ხშირ-ხშირად,  
ვინდა აღუვლენს ლოცვას  
ძველ კოლხეთს!

1981



\* \* \*

ელგის ფრთხილებით სახეს,  
იხოვს მწუხარე სივრცე,  
ცას თვალები აქვს სველი.  
და სადღაც,  
ვიღაც პიგის...  
ღამეა ბნელზე-ბნელი  
და სიკვდილივით ცივი.

1962



\* \* \*

მოვა აპრილი და ია-იებს,

პარას ჭალაში

კვლავ დაარისხებს.

ქარი ჩაძრობს მოციმციმე დამის

ნათურებს.

მერე ჭიშკართან დამდგარ ალფის ხეს,

თეთრ იღლიაში ხელს შეუყოფს

და უფათურებს.

1989



\* \* \*

დასავლეთის ცას პონტი ევქსინის  
 ხელში უჭირავს,  
 ვით ამანათი,  
 და რაქნას, სხვისოვის კედარ იმეტებს.  
 კოლხეთს,  
 ვითარცა ჟამს აიგრის,  
 ისევ ის ბადრი მთვარე  
 დანათის.

1969



\* \* \*

უზენაესის დვორიურ სინათლით,  
ცა ლამისაა,  
რომ დაელამდეს.  
მეტეორები სიმყუდროვის კარებს  
აღებენ.  
ვარსკვლავები კი ლამაზ დამეს  
ქსოვენ დილამდე,  
ოქროს სხივების ყაისნაღებით.

1961



\* \* \*

მარადის თანმდევი,  
უნდო და თავხედი,  
სიკვდილის შიშია,  
უკან რომ გვახედებს.

2009



## ქართლის გზაზე

ნაჯახით თავმოკვეთილი,  
ან რა დევი,  
ან რა ჭური,  
ისე შვიდფრად გაბაწრული –  
ურმებს მიაქვთ შემოდგომა,  
ქართლ-კახური  
და რაჭული.

1971



\* \* \*

ისტორიის ველ-მინდვრები,  
რემამ ათასწლეულების  
გადათელებს,  
გადაძოვეს...  
მეც ამიტომ ვერ ვისვენებ  
და ვუყიფი: ჰალიძონებს,<sup>1</sup>  
დრილებსა<sup>2</sup> და  
ლემნისელებს.<sup>3</sup>

1979

---

1,2,3 – პრეისტორიულ ქოლხთა (ქართველთა)  
მონათესავე ტომები.



\* \* \*

სოფელს აღვიძებს ყეფა ძაღლების,  
ჭიშკართან ვიდაც უხმობს  
მასპინძელს:

უჩა,  
ვო უჩა!  
ოდნავ გახსნილი დარჩენია ლამეს  
საკინძელს  
და ვით ამორმალს,  
მოვარე,  
მოჭრილ ძუძუდ მოუჩანს.

1959



\* \* \*

უმღერიან კოლხურ ნანას,  
ანგელოზებს იხევ  
ღვიძავთ.

მზე —

კალთაში ღამეს უწევს.  
და მთვარე კი, როგორც მიძა,  
მთებს და ქედებს  
აკვანს ურწევს.



## ციხე გოჯისა და შევის

გოლხთა ძველი გადმონაშთი –  
დგას ზეცამდე აღმართული  
ციხე გოჯისა და  
შევის.  
მტერთსაცავი,  
და იმედი,  
დიდი – აიეტის მეფის.

1969



## ყოროფა

თქმულებებს და ლეგენდებს  
მოსულს –  
ძველ კოლხეთიდან,  
ფერი ისევ ადევს მზის,  
როგორც ლამაზ სიყვარულს –  
ყოროფასი<sup>1</sup> და ზევსის.<sup>2</sup>

1998

---

1 ყოროფა (ოროფა – მეგრ.) სიყვარული – ევროპა გაიტაცა ზეგსმა  
კუნძულ კრეტაზე („კოლიხითში“)

2 ზევსი – უზენაესი ღვთაება



\* \* \*

მოვარე ვარსკვლავებს ამშვიდებს

მზე კი გულს უღრნის

დარდივით.

ცა – ჩანს შორეულ წარსულად.

გზას მივყვეთ გეშით ნადირის,

სანამ სიკვდილი

დაგვსუნავს.

2008



\* \* \*

გაჩენის დღიდან არყოფნა –  
დაგვივის მიკოტად  
და წავად:  
– ვინც აქ მოვიდა,  
აქედან წავა.

2004



## ხელვი

ანგელოზების ხმები  
წკრიალა,  
ისევ მშობლიურ ცას  
ახელებენ.

და ქაოსიდან გამოშვერილნი  
დედამიწისკენ,  
მნათნი კი არა,  
წინაპართა არის ხელები.

2001



\* \* \*

მთებს მიღმა,  
ცივ სიმყუდროვეში,  
ღრუბლებმა ფრთები თუ  
გაშალეს,  
ცა იგრძნობს მნათობთა შერხევას.  
ზღვამ იცის,  
რომ მოვა გრიგალი აშარი  
და გადაუმტკრევს ზეირთებს  
ხერხემალს.

1996



## ანტიქისტე თბილისში

დვოის სახლი სულ დია რომ იყოს,  
ახლა მიმწუხრისას კეტავენ.  
და უკვირს მრევლსა და  
მნათესაც:  
ურწმუნო,  
და ქრისტეს ფეხების მკვნეტავი,  
თბილისში ვინ ჩამოათესლა?!

1993



\* \* \*

აქეთ კი არა,  
ვიხედები უკვე იქითაც  
და ვეფერები დღეებს  
დარჩენილს.

დვითის სადიდებელს ვსვამ ბარძიმით,  
დოქით,  
ჭიქითაც.

და ვითარც დავითს,  
ვიცი გამჩენი,  
ცოდვებს, ლოცვებში გამომიქვითავს.

2002



## ხილვა: მედეა

„ავე მარიას“ –

აღვიძებდნენ მეზღვაურები

და კაპიტანი, როგორც დაგვპირდა:

ქარმა მწუხერისას გაშალა აფრა,


წამს ქალის სახით აღომართა

ტალდა ნაპირთან,

– მოვედი! –

თქვა და უეცრად გაქრა.

1980



\* \* \*

ასეა დასაბამიდან:

ცხოვრება ტქბილი არის

და კოლოც.\*

და სანამ ზღვასთან მიგა მთები,

წვენც ვივლით...

ვივლით...

და ბოლოს,

მაინც სიკედილის კარს მიგადგებით.

1998

---

\* კოლო (მეგრ.) – მწარე.



\* \* \*

ათასფრად ჰყვავის ზესთა სამყარო...

დამის კედლები –

მარმარილო არის ნათალი

და ის ათასჯერ მე მაქვს ავლილი.

მოვარე ჰყიდია ცხენის ნალივით

ცას,

ავმასულმა რომ არ გათვალოს.

1968



## შვიმა, მოხუცი, გაფეხილი ქოლგა

რითმა რაა,  
რას იზამს  
ხან გაგნათლავს,  
ხან ნახშირით გაგმურავს,  
და ხანაც კი დიდ ფარაონს,  
გაგახსენებს ხამურაბს.  
ახლა წვიმს და...  
რომ ახურავს მოხუცს ქოლგა,  
როგორ მოჰვავს,  
ფრთამოტეხილ დამურას.

1962



\* \* \*

შემოდგომის დღეებმა  
აარას ლამაზ ჭალაში,  
მზე და სუსხის ქვიტკირი  
ერთურთს ჩააგვირისტეს.  
და... ბავშვივით მისტირის –  
ტირისკონი<sup>1</sup> –  
ტირისდენის<sup>2</sup>.

1977

---

1 ტირისკონი – ნოემბერი

2 ტირისდენი – დეკემბერი



\* \* \*

სადღაც მოებს მიღმა დასალიერი,  
ელვით ირდვევა და  
იკემსება.  
მეხი ღრუბლებში ისევ ახირდა.  
მაგრამ უეცრად ცამ  
გაიზმორა  
და ვარსვკალვების ოქროს ნემსები,  
კვლავ გადმოყარა დამემ  
ხახიდან.

2000



\* \* \*

რაა წუთისოფელი,  
შიში და  
წანწალია,  
აგორაა\* – მხეცების.  
და ცხოვრება წამია –  
შეუცნობლის –  
შეცნობის.

2004

---

\* აგორა (ბერძნ.) – მოქანი.



## გარსპოლავიანი ღამე

ცეცხლის კლანჭება ელვა –  
მიმინო,

შორს,

ღრუბლებს მიღმა დუმს  
დაგეშილი,

ღამე აბურავს გულს კაეშნებად,  
და... გარსპოლავებით სავსე  
თევზივით

ცა –

დედამიწას თავზე ეფშვნება.

1976



\* \* \*

სუსტებს,

უპოვრებს,

გლახაკებს, ხისტებს,

მიპყრობილი აქვთ თვალები ცისქნ,

ლოცვა-ვედრებას

ცრემლები ერთვის...

და მათ მოწყალედ დაცქერით ღმერთი,

სულის ცხონებას

პირდება ქრისტე.

1961



## ამბობს იბსენი

მოკვდავთა ფიქრი,  
როგორც არავინ,  
მე ავამაღლე მიწით –  
ზეცამდე,  
თუმც სიკვდილისგან, ამბობს იბსენი:  
ადამის მოდგმის დახსნა  
ვეცადე,  
მაგრამ ვერაფრით ვერ დავისენი.

1970

---

\* პენრიკ იბსენი – ნორვეგიული დრამატურგი (1828-1906)



## პერავები

არც რომსა და არც ქაიროს,  
მცხეთის გარდა,  
სხვას არ ახსოვს,  
კერპთა მსხვრევა ამდენი:  
„ანინასი“,  
„დანინასი“,  
„არმაზის“ და „ზადენის“.

1965



\* \* \*

მზის და სიცოცხლის მოიმედენი,  
დამის კარების თხოვენ  
გაღებას –  
გამჩენს და ხილვა უნდათ ედემის\*  
და აწყდებიან ნაპირს  
ტალღებად  
სული მითების  
და ლეგენდების.

1969

---

\* ედემი – იგულისხმება ქოლხეთი.



60

აბა რაა სამოცი,  
ამ წლებს ნუდარ  
იბევრებ,  
კიდევ ამდენს უყელე  
და თვალი დაუყენე,  
სიკვდილსა და  
სიბერეს.

2001



\* \* \*

დღის ნათელი ხმობს ლაზარეს,  
ღამე,  
ოდით მზის მტერია.  
ბნელში მთვარე დგას ეჭვივით.  
და... კოლხეთის მისტერია\* –  
ცხრა ბეჭდით არს  
დაბეჭდილი.

1971

---

\* მისტერია (ბერძნ.) – საიდუმლოებანი.



\* \* \*

ცხრაკუნჭულა რომ აღარ შეჭამოს,  
დევის ქალი,  
დევს ეაჯება.  
ცოცხებე მჯდარი დედაბერი  
სადღაც გაფრინდა  
და ისმის ქართული ზღაპრიდან  
ხარხარი დევების და  
ალქაჯების.


1956



## მაშინ

მაშინ სულ სხვა ქარი ქროდა,  
მეფეს მეფის სიბრძნე  
ჰქონდა!  
ჰქონდა სულ სხვა სითამამე.  
თამარი რომ თამარობდა,  
ისე ვერვინ ითამარებს.

1983



\* \* \*

შხარა არა,

თეთნელდი,  
მთებზე თოვლით დაწერილ,  
თეთრ სიყვარულს მითვლიდა.  
და მესმოდა კივილი  
დალის,  
კოლხურ მითიდან.

1963



## რშსთაველი

რვაჯერ ასი მიინავლა,  
ათასწლეულებიც გავა...  
ის ისევ ხიდს ადგას ბეწვის.  
პალესტინის გზაზე მავალს,  
სამშობლო და გული ეწვის,  
თავისთავში –  
სიყვარულით გადახვეწილს.

1978



\* \* \*

შენს ნახვად მოფრინავს „ჟიგული“,  
ერთ სულ და ერთ ხორცად  
მიგულე  
და იღბალს ნუ დაემდურები,  
რომ სადღაც დარჩელს თუ  
ნარაზენს,  
დაჩერებელ და მტკრიან შარაზე,  
ჩვენს წარსულს  
მიაჭრიალებს ურემი.

1964



## ၁၃၁ အပေါ်

(ဒာရိဝင်ဘု)

မာဒို စွဲလွှာ ရှော ကိုပေါ်လွှာ  
 မာဒိုတ မြေစိုလို,<sup>၁</sup>  
 နှေဖွံ့ဖြိုးစွာနာနဲ့ နိုဗောဓိွဲလို,  
 လျော်စွာတ မာမလာရှာ,  
 လာ သာန မဆိုရှာ.  
 ကြော်ပေါ်တ နာပို့ရဲ ရာမ အမြှော်ပို့၊  
 ပို့ပေါ်လွှာတ အရာ၊  
 အရာတ မိုးစို နာမို့ရှာ.

1972

<sup>၁</sup> ရှော ပေါ်လွှာ – ကြော်ပေါ် (အော်အော်) နာသာမာမို့မို့ရှာ လျော်စွာ (နာနာ).

<sup>၂</sup> နှေဖွံ့ဖြိုး – (အော်အော်) – နှေဖွံ့ဖြိုး ရှိမြှော်ပို့.



\* \* \*

სიცოცხლისაგან იშვი

და რადგან პოეტი გქვია,

გსურს სიკვდილს იარაღი

აქარო.

და შენ, ვით აბრეშუმის ჭიამ,

თავზე შემოიქსოვე

სამყარო.

1999



\* \* \*

ზეცის კუთხე-კუნძულში,  
კვლავ ვაგროვებ ელვებად,  
მეთა-ტეხად,  
ქუხილად,  
რასაც ფიქრი ევლება –  
ხილულსა და უხილავს.

1990



\* \* \*

აღარასოდეს მითქვამს,

და აი,

ახლა ვიტყვი,

რომ მასში ვხედავ სსნას,

დასაბამიდან ვეტრფი –

მის აღმატებულებას

ზღვას.

1964



\* \* \*

რადგან უშიშარი ხარ,  
ისე, ვითა უხორცო,  
მიდი და შენებურად,  
ერთადვე შეუბერე:  
წუთისოფლის ჭირ-ვარამს,  
სიკვდილსა და  
სიბერეს.

2006



\* \* \*

პონტოს სანაპიროზე

ოდითგანვე ბუდობდა  
ლეგენდაც და ზღაპარიც,  
რადგან იყო კოლხეთი –  
მათი თავშესაფარი.  
მაგრამ უამი თავხედი,  
ისე, როგორც ზღვას ქარი  
რომ არსად წასულიყო  
კაბის კალთას ახევდა.



## გაჟავ! – ძეგ ჰელიონსის

მზედ და ურიცხვ გარსპვლავად –  
კოლხეთის ცას მიშლილო...  
ბინადარო ენგურის,  
ფაზისის და ნილოსის.

გაჟავ!

პონტოს ზღვის შვილო,

გაჟავ!

ძეგ – ჰელიონსის.

1963



\* \* \*

შურით და მტრობით სავსე მიღეთში,  
ნუ დაგადონებს ეს  
სიმარტოვე –  
წუთისოფელთან მოეშვი დავას.  
შენ, აქ არავინ აღარ  
დაგტოვებს,  
ვინც მოგიყვანა,  
წაგიყვანს თავად.

2007



\* \* \*

(გარიანტი)

აბჯრად ასხია ტანზე გოდება,

პირი ცრემლებით აქვს

დაბანილი.

და ნაფეხურებს ტოვებს ლოდებად.

მგლის ბილიკით და

მგლურ ნაბიჯებით

მოდის...

წუთი-წუთ გვიახლოვდება.

2004



\* \* \*

ისე, ვით მეოცეში,  
ჩარგლულამ და ჩიხურამ,  
ოცდამეერთეში კი,  
ხობისწყალი მიხურავს.

2008



\* \* \*

ჯერ ყოფნა თავზე მევლება,  
არყოფნის არვარ მიმხრობი,  
თუმც ცრუობს  
ჩემი ამინდი.  
არვიცი, რატომ მიხმობენ  
ბაღები სემირამიდის.

2001



## ანაკლიაზი

შვილწაგვრილი ანა რკიანს\*

და აღვიძებს

ანაკლიას –

დედო-ზართა ხმა და რეკა.

და საშველად წარსულიდან,

კვლავ მოუხმობს

მაცის

კვა.

1960

---

\* რკიანს (მვერ.) – ქივის.



\* \* \*

მარადისობის მისდევ დინებას,  
შენი სახელი მნათობების  
წიგნში სწერია,  
და წუთისოფლის დარდებისთვის  
ნუღარ მოცდები.  
უამთა ურჩხული, ვით თეთრ მხედარს  
ვერ მოგერია,  
თავშესაფარი ხარ საოცრების.

2001



\* \* \*

მთებს გადაუფრენს ხმა მიკიოტის,  
სიზმარში უცებ დაფრთხება  
არჩვი.

ენგურს გაჰყება მთვარე და „ლილქ“.  
ცა ქალწულივით გადმოდგება  
და გამოაჩენს,  
წითლად შეღებილ ვარსკვლავთა  
ფრჩხილებს.

1972



ALBERTSU

## ვუსტი

ბობოქრობას და აღარ ცხრება  
პოეზიის ქარიშხალი,  
შენ კი უდონო და  
სუსტი,  
პონტოს პირას ისევ უცდი,  
როდის გადმოგვხედავს  
ფუსტი.\*

1963

---

\* ფუსტი (სვან.) – დმერთი.



## ჩვენი ხმა

სიტყვას, ვით დროშას,  
მილეთში გავშლი,  
კარგო,  
მერე რა!  
ჩემი ხმა სხვაში.  
არასოდეს არ აგერევა.

2007



\* \* \*

ზღვის გზას დრუბლები კეტავენ...  
როცა წვიმა და ქარია,  
მიწას მზე აღარ დახარის  
ხან ტირის,  
და ხან ხარხარებს  
ცა და...  
ვიცოდე ნეტავი,  
რა წყინს და, რა უხარია!

1986



მაპრის<sup>1</sup> – მაპრონ<sup>2</sup> –

მაპრალები<sup>3</sup>

ათასწლეულების მტვრიან გზებით,

იქიდან –

აქეთ რომ მოდიოდნენ,

ჩემს კოლხ წინაპრებს რა ეწიათ?!

იქნებ უფსკრულებში დაქანდნენ!

ან იქნებ სიკვდილი დაეწიათ,

და ვეღარ მოადწიეს აქამდე!

1962

---

1,2,3 – პრეისტორიული კოლხური ტომები.



\* \* \*

ზამთარია თოვს და ცივა...

მე,

რაგვიდან თავდაღწეულს  
ვგავარ ბაღრეს და ნიბლიას.  
რავქნა ჩემო,  
სიყვარულმა,  
თავგზა სულ რომ ამიბნია.

1972



\* \* \*

ღამის წყვდიადში არის დაფლული,  
სინათლის ღვინით სავსე  
მზე-ჭური.

იკლაპნის მთვარე —  
გუდი დრაკონის.  
ცა, წინაპართა ჩემთა ნაქონი,  
ჩანს ვარსკვლავების  
ჩრჩილით შეჭმული.

1964



\* \* \*

შორიდან გველამაზება,  
გუახლოვდებით რაც უფრო,  
ცხოვრება გვგონია იდილია.\*

არა,

თურმე ეს საწუთოო,  
სიკვდილ-სიცოცხლის  
ჭიდილია.

2003

---

\* იდილია (ბერძნ.) უშფოთველი ყოფნა.



\* \* \*

თეთრი მტრედების ფრთებით

მოფრენილ

თავისუფლებას რომ

მიესალმნენ:

იყო პეტეფი,

იყო იბსენი,

მათ შორის იდგა კილაც მესამე,

რომლისგან თავი ვერ დავიხსენი,

მაგრამ ვერაფრით ვედარ

ვიხსენებ.

2004



## ზეპსის ხმა

ხელში ჩანგი გიჭირავს –  
მზეზე უძვირფასესი,  
დამეებმა მთიები  
ჩუმად შემოგისიეს,  
და... ცამ პოეტს ცისიერს,  
დაგანათლა ხმა ზეპსის.

1966



## სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....	5
*** (დღე-დამის ფრთხები მოუსხამს).....	25
*** (ქუხილის ხმაზე...).....	26
*** (რა ბედნიერი ვიყავი მაშინ).....	27
*** (ერთმანეთში ირევა).....	28
*** (სიშორის მიღმა გარდახვეწილი).....	29
*** (ციხეზე სათოფურები).....	30
*** (ზღვის...).....	31
*** (მოებს სიფერმკოთალემ გადაუარა).....	32
*** (ნანგრევები ხატუსის).....	33
*** (მწუხრის მოვარემ მოცარტივით).....	34
*** (სიცოცხლეს არა).....	35
*** გგვიპტის წყვდიადში.....	36
ხატუსა და ბაბილიშს .....	37
*** პონტოს ნაპირზე ათასწლეულებს.....	38
*** არ იძინებენ .....	39
*** კოლხური ცის ოგვაჯეში .....	40
*** ცა – ოკეანე და .....	41
წყურგილი .....	42
*** დედამიწა უმზეოდ .....	43
*** ელვის დაკლაკნილი ბილიკებით .....	44
*** წარსულისკენ იწვდის კისერს .....	45

*** ქვამლი აუდიო ათასწლეულებს.....	46
ხილვა: ჰერაკლე და ჰერკულესი .....	47
*** სიყვარულით და მზითმოსილები .....	48
*** გადაუღებელ ომის დელგმაში .....	49
*** გამოენისას სოფლის შარაზე .....	50
*** თავზე მახურავს ცა ბიბლიური .....	51
*** ბოლოს ბაყბაყ დეგივით.....	52
*** ღამის წყვდიადში დილის ნათელს.....	53
*** ვარსკვლავთა ფერად ყვავილნარებში.....	54
*** ყელგამშრალი ეს ღრუბლები.....	55
*** ვარსკვლავების სიცილში .....	56
ვით ობოლი მარგალიტი .....	57
*** დაიჭექა და ქუხილმა .....	58
*** უცაბედად ზღვას .....	59
*** მზე დასავლეთითი მიეშურება.....	60
*** სდევ... .....	61
*** ეს ბაჯაღლო ვარსკვლავები .....	62
მარდუქი .....	63
*** მამა – მშობელმან არ მიმატოვოს....	64
*** მიღმა შვიდი-რვა ათასწლეულის .....	65
*** მოკამპამე ზღვის სარკეში .....	66
*** დვიძლი არიან ცა და მიწა .....	67
*** წყალში დამხერჩალთა საწყალ .....	68

*** ენგური კლდეებს ფეხებს უკოცნის .....	69
*** მიმწუხერია... .....	70
*** ვინც რომ გაექცა ტანჯვას მიწიერს ..	71
*** ვით წინაპართა ხსოვნის სულები .....	72
*** პრეისტორიის მოწყენილ ცაზე.....	73
მოსხები და სკვითები.....	74
*** არყოფნიდან მოსული.....	75
*** ქარს შორიდან ზვირთთა მთები .....	76
უძველესი კოლხეთი.....	77
*** ზღვას და ქარიშხალს .....	78
კოლხეთი – XV-XIV ს. ჩვ.წ.აღ. ....	79
*** ურწმუნო თომებს.....	80
*** ღრუბლის ბალიშზე უდევს .....	81
*** არაგვის მღვრიე ზვირთში შევცურე ..	82
*** შორეულ წარსულს.....	83
*** თვალი დაუხუჭიათ .....	84
შამაშ .....	85
*** ცაზე კიდია ვარსკვლავები .....	86
ბარბაროსები .....	87
*** მწყალობელი და ასე კეთილი .....	88
*** ღრუბლების მაღალ გორაკებს იქით .....	89
*** დვოისბოძებული წუთის დაწამის .....	90
პელაზგებს და ტირსენებს.....	91

*** წინაპრების სულზე მლოცველს.....	92
ერებელი.....	93
*** მზეს და სიცოცხლეს შვთხოვდი უფალს.....	94
*** სინათლის ეტლით გადაუქროლეს.....	95
კოლხები და საპირები.....	96
*** მიშვებულია ნების სადაგა.....	97
დეიოქეს, თუკიდიდეს .....	98
*** ხან წინ გვისწრებს დაოთხილი.....	99
არგონავტებისა და დოლიონების ბრძოლა.	100
ჯეონი.....	101
ხილვა: აიეტის სამეფო .....	102
ბერმუდის სამკუთხედი .....	103
რომელი .....	104
*** ვჰე!	105
*** წარსულიდან რომ გადმოაქვთ ქარებს.	106
*** დამის წყვდიადით გამოკეტილი.....	107
წვიმის კაცუნები .....	108
*** ტანზე იცვამენ ათასწლეულებს .....	109
*** მიწებებია ტუჩები ტუჩებს .....	110
*** ქარები ელვის გრძელი თითებით.....	111
თოვლის კაცი.....	112
*** მეტეორები პგვანან პოეტებს .....	113
*** გადაწყვეტილი ყოფილა ცაში .....	114

„მინოსური დამწერლობა“ .....	115
*** მარადისობის ჯოხს დაყრდნობილი.....	116
*** შეეცოდა... .....	117
*** სიცოცხლე.....	118
*** დამით დახურულ ამ ცისქვეშეთში.....	119
წუთისოფელი ასეა.....	120
კორიბანტები .....	121
დრო და პოეტი.....	122
*** წამლად .....	123
*** ჩემი წიანპრების ოდაბადე.....	124
*** ამბობენ .....	125
ევროპა, ლიბია, აზია .....	126
*** როცა დელვის ბილიკებით .....	127
*** ცაში დანოებულ ვარსკვლავების.....	128
*** თუ სიკვდილმა არ მიყელა.....	129
*** დასავლეთით ენგური და .....	130
*** შავითიდან.. .....	131
*** ათასფრად მორთული.....	132
*** კოლხთა სახელი ზეცას წვდებოდა....	133
*** სიყვარულის მგალობელი.....	134
*** ფეხდაფეხ სდევნიდნენ შავი დრუბლები .....	135
ზღვა გაგიხსენებს .....	136

*** დაუმშვენებიათ ტაროებს ულვაშები..	137
*** ვინც არ ყოფილა შეყვარებული.....	138
*** გამთენისას აღმოხდება ცას მთვარე...139	
*** ვწუხვარ .....	140
ორხიდები .....	141
მეცხრე საოცრებაა კოლხეთი .....	142
პოეზიის ყანა .....	143
*** ქარები კარებს კეტავენ .....	144
*** მთვარე სახლიდან აღარ გამოდის.....	145
*** უფლის მოშიშს და მოსავს.....	146
*** ორთაჭალით ქუხილის ხმაშ .....	147
*** ზღვისფსკერზე სძინავთ ათასწლეულებს .....	148
*** ბავშვივით ისევ განაცვიფრებს .....	149
*** უფლის ფრთხოსან ანგელოზებს.....	150
ფოთი (ფუთი).....	151
*** დროს სხვა ძალა აქვს ტიალი.....	152
კოლხები ეგეოსისა და ადდგომის კუნძულებზე.....	153
მუზების ტაძარი .....	154
*** ზვირთების მთებზე სირბილით.....	155
აიების სასახლე.....	156
*** ვითარც ადრე.....	157
*** საფეხურებად ცხრა ცა .....	158

*** ათასწლეულების მერეც.....	159
ისევ სვანეთში.....	160
დიდგორი – 1122.....	161
*** მწუხარიდან .....	162
*** სულ წვრილ-წვრილი გარსვავებით ...	163
*** „პალესტინაში რუსთაველის სურათი .....	164
*** ცა იღრუბლება ჩემი წუხილით .....	165
*** აქვე არის აფხაზეთი.....	166
მოწამეთა .....	167
*** ელვის პომადას წაისვამს ტუჩზე .....	168
ია-იები თრიალეთის მოებში.....	169
*** სანთლებს ანთებდნენ მწუხარის ლოცვები.....	170
*** ცას არ აბრმავებს შუბთა ბრწყინვა .....	171
*** მწუხარის ლოცვებში დამდგარ საყდართან .....	172
XX საუკუნე .....	173
*** ცაში ღრუბლები დადგეს ზვინებად ...	174
*** ფრთაგაშლილი თოლიები .....	175
თუშეთში .....	176
ისევ ან მარე .....	177
ჩალმიანი ტალღა .....	178

*** დამეულ გზით მიმავალი.....	179
*** ცის უგარსკვლავო დამით მოსილი .....	180
*** შენც უკვდავებას ეპოტინები.....	181
*** ელვის ფრთხილებით სახეს.....	182
*** მოვა აპრილი და ია-იების .....	183
*** დასავლეთის ცას პონტი ევქსინის.....	184
*** უზენაესის დვოთურ სინათლით .....	185
*** მარადის თანმდევი.....	186
ქართლის გზაზე .....	187
*** ისტორიის ველ-მინდვრები .....	188
*** სოფელს აღვიძებს ყეფა ძაღლების....	189
*** უმღერიან კოლხურ ნანას.....	190
ციხე გოჯისა და შეფის.....	191
ყოროფა .....	192
*** მოვარე ვარსკვლავებს ამშვიდებს .....	193
*** გაჩენის დღიდან არყოფნა .....	194
ხელები .....	195
*** მთებს მიღმა.....	196
ანტიქრისტე თბილისში.....	197
*** აქეთ კი არა .....	198
ხილვა: მედეა .....	199
*** ასეა დასაბამიდან.....	200
*** ათასფრად ჰყვავის ზესთა სამყარო....	201
წვიმა, მოხუცი, გატეხილი ქოლგა.....	202

*** შემოდგომის დღეებმა.....	203
*** სადღაც მთებს მიღმა დასალიერი.....	204
*** რაა წუთისოფელი.....	205
ვარსკვლავიანი დამქ.....	206
*** სუსტებს.....	207
ამბობს იბსენი.....	208
კერპები .....	209
*** მზის და სიცოცხლის მოიმედენი.....	210
60 .....	211
*** დღის ნათელი ხმობს ლაზარეს .....	212
*** ცხრაკუნჭულა რომ აღარ შეჭამოს .....	213
მაშინ .....	214
*** შხარა არა.....	215
რუსთაველი .....	216
*** შენს ნახვად მოფრინავ „ვიგული“ .....	217
რეა კიბელე .....	218
*** სიცოცხლისაგან იშვი.....	219
*** ზეცის კუთხე-კუნჭულში .....	220
*** აღარასელდეს მითქვამს.....	221
*** რადგან უშიშარი ხარ .....	222
*** პონტოს სანაპიროზე.....	223
ვაჟავ! – ძევ პელიოსის .....	224
*** შურით და მტრობით სავსე მიღეთში.....	225
*** აბჯრად ასხია ტანზე გოდება .....	226

*** ისე, ვით მეოცეში.....	227
*** ჯერ ყოფნა თავზე მევლება .....	228
ანაკლიანში .....	229
*** მარადისობის მისდევ დინებას.....	230
*** მთებს გადაუფრენს ხმა მიკიოტის.....	231
ფუსტი .....	232
ჩემი ხმა.....	233
*** ზღვის გზას დრუბლები კეტავენ.....	234
მაკრის <sup>1</sup> – მაკრონ – მაკრალები .....	235
*** ზამთარია თოვს და ცივა.....	236
*** დამის წყვდიადში არის დაფლული ....	237
*** შორიდან გველამაზება .....	238
*** თეთრი მტრედების ფრთებით .....	239
ზევსის ხმა.....	240

D. J. Gammie



ვაჟა ებრისელი

## გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ  
ტომი 72

VAZHA EGRISELI  
**“KOLKHURI PHSALMUNEBI”**  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 72

- |                     |                            |
|---------------------|----------------------------|
| გამომცემლობის       |                            |
| რედაქტორი           | – გერაბ წაჩავა             |
| მხატვარი            | – სპართაკ ციცაძე           |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე          |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღვამიშვილი          |
| კორექტორი           | – გარი ლოლებაძე            |
| კომპიუტერული        |                            |
| უზრუნველყოფა        | – ნანა და დათო ყადაშვილები |
| გამომცემელი         | – ვაჟა დოლგაძე (უმცროსი)   |

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „ვაჟალსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ჭ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com